დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის №87 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: მარიკა კირვალიძე

წევრები: ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი: თამარ საჩანელი
საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი: ნანა ნიკოლაშვილი
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი: მარინე კუჭუხიძე
უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი: ინგა გელაშვილი
ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი: ლედი კუთხაშვილი
ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი: მარინე ჩახვაშვილი
სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი: სოფიო ჯგერენაია
მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი: ჯულიეტა ტაბეშაძე
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი: ნინო ჭანტურიძე
სპორტის საგნობრივი ექსპერტი: კობა დეკანაძე

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის №87 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	206031694

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	თბილისი, ისანი-სამგორი, ქეთევან წამებულის ქ. №90-ა
საფოსტო ინდექსი	0144
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://shorturl.at/UykJR
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tbilisi87@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	2775133

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 5 26 0000292351
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2-3 აპრილი, 2026

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	თბილისი, ისანი-სამგორი, ქეთევან წამებულის ქ. №90-ა შენობა N1
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	თბილისი, ისანი-სამგორი, ქეთევან წამებულის ქ. №90-ა შენობა N1
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	თბილისი, ისანი-სამგორი, ქეთევან წამებულის ქ. №90-ა შენობა N1

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2026 წლის 2-3 აპრილს სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის №87 საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი

თვითშეფასების განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. როგორც ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა, ისე საგნობრივმა ექსპერტებმა გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი.

ვიზიტის პირველ დღეს დისტანციურ ფორმატში ჩატარდა საგნობრივი ექსპერტების გასაუბრება კათედრებთან.

ზოგადი განათლების ხარისხის უზურუნველყოფის ექსპერტებმა წარმართეს გასაუბრებები სკოლის დირექტორთან, დირექტორის მოადგილესთან, სპეციალურ მასწავლებელთან და დამრიგებლებთან.

ვიზიტის მეორე დღეს ზოგადი განათლების ხარისხის უზურუნველყოფის ექსპერტებმა გასაუბრება ჩაატარეს დირექტორთან, დირექტორის მოადგილესთან, კათედრების ხელმძღვანელებთან, საქმის მწარმოებელთან, საინფორმაციო მენეჯერთან, სკოლის ექიმთან, ბიბლიოთეკარსა და ბუღალტერთან. ასევე - სამივე საფეხურის მოსწავლეთა მშობლებთან, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან.

ექსპერტებმა შეისწავლეს მოსწავლეთა პირადი საქმეები, მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, თანამშრომელთა პირადი საქმეები და ხელშეკრულებები, ჩატარდა ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერება.

ვიზიტის მეორე დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა გამოვლენილი მიგნებები დაწესებულების დირექტორთან და დირექტორის მოადგილესთან.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	**აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა**	**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა**

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 2000	**ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება** ☒	**აღწერა** ***(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)***
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***ხარვეზი***
ინდიკატორი N		

1		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესი ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***ხარვეზი***
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***ხარვეზი***
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	***ხარვეზი***
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N		

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

1.1.1.3	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში სკოლას წარმოდგენილი აქვს N1.1.1.3 ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განსაზღვრულია დაწყებისა და დასრულების თარიღები (დასრულება - 2026 წლის სექტემბერი) და რესურსები. ასევე აღნიშნულია, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკი არის რეაგირების დაგვიანება - 10%. ***სკოლას მიეცა რეკომენდაცია,*** *სრულად უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობების განხორციელება მითითებულ ვადებში. კერძოდ, სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელდეს სკოლის ფილოსოფიის შემუშავების/გადახედვის მიზნით ჩატარებული გამოკითხვის შედეგების ანალიზი და სკოლის ფილოსოფიის განხილვა სკოლის სტრუქტურული ერთეულების მიერ.*
1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში სკოლას წარმოდგენილი აქვს N 1.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განსაზღვრულია დაწყებისა და დასრულების თარიღები (დასრულება - 2026 წლის სექტემბერი) და რესურსები. ასევე აღნიშნულია, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკი არის რეაგირების დაგვიანება - 10%. ***სკოლას მიეცა რეკომენდაცია,*** *სრულად უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობების განხორციელება მითითებულ ვადებში. კერძოდ,* სტრატეგიული განვითარების გეგმა დაამტკიცოს მოქმედი კანონმდებლობის და სკოლის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის მოთხოვნების შესაბამისად.
1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში სკოლას წარმოდგენილი აქვს N **1.2.1.3** ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განსაზღვრულია დაწყებისა და დასრულების თარიღები (დასრულება - 2026 წლის

		სექტემბერი) და რესურსები. ასევე აღნიშნულია, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკი არის რეაგირების დაგვიანება - 10%. სტანდარტთან სრულ შესაბამისობაში მოსაყვანად, **სკოლას მიეცა რეკომენდაცია** მითითებულ ვადებში უზრუნველყოს, რომ სკოლის სამოქმედო გეგმა ეფუძნებოდეს სტრატეგიულ გეგმას.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N...		
3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას.	ექიმის კაბინეტში არ არის შირმა. სკოლას მიეცა **რეკომენდაცია,** უზრუნველყოს შირმის შეძენა შესაბამისობის გეგმით მითითებულ ვადებში (2026 წლის სექტემბერი).
3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლაში არ არის შექმნილი ეტლით მოსარგებლე პირისათვის შენობაში სართულებზე გადაადგილების შესაძლებლობა. ამასთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. **რეკომენდაცია:** სტანდარტთან სრულ შესაბამისობაში მოსაყვანად, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მითითებულ ვადებში (2028 წლის მაისი) უზრუნველყოფს სკოლის შენობაში ლიფტის ან პანდუსის დამონტაჟება.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** ზოგადი განათლების საბაზო	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***

	საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	
ინდიკატორი N....		
2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.	სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიების მოწყობის უზრუნველყოფა დაგეგმილი აქვს ერთი წლის ვადაში. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას და გასცემს რეკომენდაციას, სკოლამ მის მიერვე განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობა.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		
2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.	სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიების მოწყობის უზრუნველყოფა დაგეგმილი აქვს ერთი წლის ვადაში. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას და გასცემს რეკომენდაციას, სკოლამ მის მიერვე განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობა.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***რჩევა***
ინდიკატორი N....		
1.2.1.1	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს	სასურველია მეთოდოლოგიაში განსაზღვრული იყოს სასკოლო საზოგადოების წევრებისგან ინფორმაციის მოპოვების საშუალებები (მაგალითად, კითხვარები, ინტერვიუ და სხვა) და მიღებული ინფორმაციის ანალიზის ფორმები.
1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.	• სასურველია, სკოლამ სტრატეგიული მიმართულებები ჩამოაყალიბოს როგორც სტრატეგიული მიზნები და „სკოლის მიზნების“ ცალკე კატეგორია ამოიღოს სტრატეგიული გეგმიდან. • სასურველია, რომ სტრატეგიული მიზნები და ამოცანები შინაარსობრივად არ იმეორებდეს ერთმანეთს. • სასურველია სკოლამ უზრუნველყოს მიზნებისა და ამოცანების ეტაპობრივი განაწილება წლების მიხედვით, რათა თითოეული მათგანის განხორციელება იყოს რეალისტიური.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N...		

3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	სასურველია სკოლამ სკოლაში მოქმედი ყველა სტრუქტურული ერთეულის/პირის ფუქცია ერთ დოკუმენტში გაწეროს.
3.3.1.2	იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები	სასურველია სკოლამ უფრო მკაფიოდ და სისტემურად განსაზღვროს პროცესების კლასიფიკაცია - კერძოდ, გამიჯნოს, რომელი პროცესებია ძირითადი, რომელი მმართველობითი და რომელი დამხმარე, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი უკეთესი აღქმა და ეფექტიანი მართვა.
3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას.	სასურველია სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.
3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას.	დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა არის 2000. ხოლო საშტატო განრიგით დაწესებულებაში გათვალისწინებულია და დასაქმებულია მხოლოდ ერთი ექიმი. სასურველია სკოლამ გაითვალისწინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ და საშტატო განრიგით განსაზღვროს ექიმის ორი პოზიცია.
3.4.1.8	სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების	სასურველია სკოლამ გამოიყენოს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ინსტრუმენტები, ასევე დაკვირვების სტრუქტურირებული

	პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის	ფორმები და სხვა შესაბამისი მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს პროცესის უფრო სისტემურ და თანმიმდევრულ განხორციელებას.
3.5.1.5	სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციოკულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას	ბიბლიოთეკის სამუშაო დრო ამჟამად სრულდება 16:30 საათზე, მაშინ როდესაც სასკოლო საგაკვეთილო პროცესი გრძელდება 17:35 საათამდე. სასურველია, რომ ბიბლიოთეკის მუშაობის საათები გაგრძელდეს სულ მცირე საგაკვეთილო პროცესის დასრულებამდე, რათა სასკოლო საზოგადოების წევრებს ჰქონდეთ მისი გამოყენების შესაძლებლობა.
3.6.1.2	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად	სასურველია, სკოლამ შესაბამისი სივრცის გამოყენების წესში დამატებით განსაზღვროს კომპიუტერული კლასის/ოთახის გამოყენების განრიგი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება სკოლის ორცვლიანი მუშაობის პირობებში და ხელს შეუწყობს სივრცის უფრო ეფექტიან გამოყენებას სასკოლო საზოგადოებისთვის.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N....		
4.2.2. 1	კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის	პროცესი რომ უფრო მდგრადი და ხანგრძლივი იყოს, სასურველია, სკოლამ გააფორმოს მემორანდუმები პროფესიულ სასწავლებლებთან.
4.2.2.3	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს	სასურველია, წარმოდგენილი იყოს უკუკავშირის ფორმები-როგორ გააკეთებს სკოლა გაწეული მომსახურების შეფასებას.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი**	***რჩევა***

	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	
ინდიკატორი N....		
N..2.1.1.1	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას	წარმოდგენილი მეთოდოლოგია უფრო მეტად კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაა, ვიდრე შემუშავების. სასურველია, მეტი აქცენტი გაკეთდეს შემუშავების პროცესზე.
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**მათემატიკა:** სასურველია დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმებში დაემატოს სკოლის რეალურ გარემოზე მორგებული, პრაქტიკული დავალებები. სასურველია, რომ დავალებები დაეფუძნოს მოსწავლეთა რეალურ სიტუაციებს - მაგ. ქალაქ თბილისის გარემოს, ბიუჯეტის დაგეგმვას, ან სტატისტიკური მონაცემების ანალიზს და ა.შ. გარდა ამისა, სასურველია ტექნიკური ერთიანობის უზრუნველყოფა: დაინერგოს სამივე საფეხურზე საერთო სტანდარტი კურიკულუმებში სვეტების სათაურებისთვის, ცხრილების ფორმატისთვის და ტექსტის სიდიდისთვის. ერთნაირი შაბლონი დოკუმენტს უფრო გასაგებს და გამოსაყენებელს გახდის. **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, დაწყებით საფეხურზე მესამე კლასის საგან "მე და საზოგადოებაში", რომელიც ვიზიტზე წარმოადგინეთ უკვე სამიზნე ცნებების შესაბამისი ქვეცნებებით, დაამატოთ

		სამიზნე ცნება ზრუნვა, რომელიც პირვანდელ ვერსიაში იყო წარმოდგენილი.
N..2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	სასურველია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში თემების ფარგლებში საკითხების ფორმულირება უფრო შინაარსობრივად და არა მხოლოდ პარაგრაფების ჩამონათვალის სახით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უკეთ დაგეგმვასა და სასწავლო მიზნებთან შესაბამისობის მკაფიოდ წარმოჩენას. მაგალითად, I კლასის პირველ თემაში საკითხის გრაფაში მიზანშეწონილია ჩაიწეროს ასეთი ფორმულირება: „ნამუშევარში საკუთარი ემოციების, შთაბეჭდილებებისა და განწყობის გადმოცემა“. ასევე, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში საჭიროებს დაზუსტებას იმ სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების მითითება, რომლებიც რეალურად მუშავდება თემების ფარგლებში, თუმცა კურიკულუმში სრულად არ არის ასახული: I კლასი – I, II, III და V თემებში მიეთითოს სამიზნე ცნება „სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები“; II და V თემებში - „სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები“. II კლასი – I, II, IV და V თემებში მიეთითოს სამიზნე ცნება „სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები“. III კლასი – დაკონკრეტდეს ქვეცნებები. IV კლასი – I და II თემებში მიეთითოს „სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები“; II თემაში – „სახვითი ხელოვნების ტექნიკა“; III, IV და V თემებში – „სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები“.

		V–VI კლასები – დაკონკრეტდეს ქვეცნებები და მიეთითოს მხოლოდ ის ქვეცნებები, რომლებიც უშუალოდ მუშავდება თემის ფარგლებში.
N.2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია, მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ყველა კლასის კურიკულუმის თითოეულ თემაში უფრო სრულად იყოს წარმოდგენილი ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები, რომლებიც რეალურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. ასევე, სასურველია, მუსიკის კურიკულუმებში სამინისტროს მიერ შეთავაზებული რესურსები არა მხოლოდ ზოგადი ფორმით იყოს მითითებული, არამედ დაემატოს შესაბამისი მოსასმენი მასალის კონკრეტული ბმულები. სასურველია ბმულების პერიოდული გადამოწმება და განახლება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი ტექნიკური გამართულობა და ხელმისაწვდომობა
N.2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**სახელმწიფო ენა:** სასურველია, დიფერენცირებული მიდგომების უფრო მიზნობრივი და სისტემური დანერგვა, განსაკუთრებით დავალებების დონეზე. სასურველია, რომ ერთსა და იმავე თემაზე მოსწავლეებს მიეცეთ განსხვავებული სირთულის, ფორმატის ან მხარდაჭერის მქონე დავალებები, რაც უკეთ გაითვალისწინებს მათი ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. კონკრეტულად, შესაძლებელია: • ერთი დავალების რამდენიმე ვარიანტის შეთავაზება (მარტივი, საშუალო, რთული);

		• არჩევითი დავალებების გამოყენება, სადაც მოსწავლე თავად ირჩევს მისთვის შესაფერის ფორმატს (ტექსტი, პრეზენტაცია, პროექტი და სხვ.); • დამატებითი დამხმარე მასალების (სქემები, მინიშნებები, მაგალითები) შეთავაზება იმ მოსწავლეებისთვის, ვისაც მეტი მხარდაჭერა სჭირდება; • მაღალი მიღწევის მოსწავლეებისთვის გაფართოებული ან შემოქმედებითი ტიპის დავალებების ჩართვა; ასევე სასურველია, დიფერენცირება აისახოს წინასწარ დაგეგმვაში (კურიკულუმისა და გაკვეთილის გეგმებში) და არა მხოლოდ პროცესის მიმდინარეობისას. ეს ხელს შეუწყობს თითოეული მოსწავლის აქტიურ ჩართულობასა და პროგრესზე ორიენტირებულ პროცესს. **მათემატიკა:** სასურველია სკოლამ უზრუნველყოს, რომ საგნობრივი კურიკულუმი და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ერთმანეთთან შეთანხმებული იყოს და მასწავლებლებს ჰქონდეთ სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის კონკრეტული სტრატეგიები.
N.2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში თითოეული თემის ფარგლებში შემუშავდეს სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები, მკაფიოდ და დეტალურად ფორმულირებული კრიტერიუმებით, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის მეტ სიცხადეს, ობიექტურობასა და შედეგებზე ორიენტირებულობას.

		მათემატიკა: სასურველია სკოლამ შეიმუშაოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ყველა კლასისა და ყველა თემისთვის, ასევე, სასურველია, შეფასების კრიტერიუმები ყველა კლასის მოსწავლეს სისტემატურად ეცნობოდეს თემის დაწყებამდე, სასწავლო პროცესის ეფექტიანობის მიზნით.
N.2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	***მათემატიკა:*** სასურველია სკოლის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს, რომ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები რეალურად გამოიყენებოდეს სასწავლო პროცესის წარმართვისას და არა მხოლოდ დოკუმენტაციის მიზნით. ამისათვის სასურველია ადმინისტრაციამ პერიოდულად გადაამოწმოს, თუ რამდენად ეყრდნობა მასწავლებელი კურიკულუმს პრაქტიკაში.
N.2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	***ესთეტიკური აღზრდა:*** სასურველია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში თითოეულ ქულას ახლდეს შესაბამისი აღწერა (რა შემთხვევაში იწერება 1, 2, 3 და ა.შ. ქულა), რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის უფრო მაღალ ობიექტურობას, გამჭვირვალობასა და სიზუსტეს. **სახელმწიფო ენა:** სასურველია უფრო აქტიურად გამოიყენოს სკოლამ შეფასების სხვა ფორმები, როგორებიცაა თვითშეფასება, მოსწავლეთა შეფასება და სხვა.

		მათემატიკა: სასურველია შეფასების რუბრიკები შემუშავდეს სხვა კლასებისა და თემებისთვისაც, რათა შეფასების სისტემა სკოლაში თანმიმდევრული და სისტემური იყოს. ასევე სასურველია შეფასების კრიტერიუმები ყველა კლასის, ყველა მოსწავლეს თემის დაწყებამდე გაეცნოთ - ეს პრაქტიკა შეფასებას უფრო გამჭვირვალეს და სამართლიანს გახდის.
N.2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**მათემატიკა:** სკოლის სასწავლო გეგმაში მიეთითოს ან ცალკე დოკუმენტში აღიწეროს, რომ რესურსების შერჩევა ხდება გუნდურად ან პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის გზით.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	***რჩევა***
ინდიკატორი N....		
N..2.1.1.1	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას	წარმოდგენილი მეთოდოლოგია უფრო მეტად კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაა, ვიდრე შემუშავების. სასურველია, მეტი აქცენტი გაკეთდეს შემუშავების პროცესზე.
2.1.2..1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე	**მათემატიკა:** სასურველია საბაზო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმებში დაემატოს სკოლის რეალურ გარემოზე მორგებული,

	ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	პრაქტიკული დავალებები. სასურველია, რომ დავალებები დაეფუძნოს მოსწავლეთა რეალურ სიტუაციებს - მაგ. ქალაქ თბილისის გარემოს, ბიუჯეტის დაგეგმვას, ან სტატისტიკური მონაცემების ანალიზს და ა.შ. გარდა ამისა, სასურველია ტექნიკური ერთიანობის უზრუნველყოფა: დაინერგოს სამივე საფეხურზე საერთო სტანდარტი კურიკულუმებში სვეტების სათაურებისთვის, ცხრილების ფორმატისთვის და ტექსტის სიდიდისთვის. ერთნაირი შაბლონი დოკუმენტს უფრო გასაგებს და გამოსაყენებელს გახდის.
N..2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში თემების ფარგლებში საკითხების ფორმულირება უფრო შინაარსობრივად და არა მხოლოდ პარაგრაფების ჩამონათვალის სახით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უკეთ დაგეგმვასა და სასწავლო მიზნებთან შესაბამისობის მკაფიოდ წარმოჩენას. ასევე, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში საჭიროებს დაზუსტებას იმ სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების მითითება, რომლებიც რეალურად მუშავდება თემების ფარგლებში, თუმცა კურიკულუმში სრულად არ არის ასახული: VIII კლასი – I თემაში მიეთითოს დარგი; II, III და IV თემებში – „სახვითი ხელოვნების ტექნიკა“. IX კლასი – I თემაში მიეთითოს სამიზნე ცნება: „სხვადასხვა ეპოქის/კულტურის/მიმდინარეობის/სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები და მხატვრული მახასიათებლები“.

N.2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია, მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ყველა კლასის კურიკულუმის თითოეულ თემაში უფრო სრულად იყოს წარმოდგენილი ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები, რომლებიცრეალურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. ასევე, სასურველია, მუსიკის კურიკულუმებში სამინისტროს მიერ შეთავაზებული რესურსები არა მხოლოდ ზოგადი ფორმით იყოს მითითებული, არამედ დაემატოს შესაბამისი მოსასმენი მასალის კონკრეტული ბმულები. სასურველია ბმულების პერიოდული გადამოწმება და განახლება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი ტექნიკური გამართულობა და ხელმისაწვდომობა. **მათემატიკა:** სასურველია **VII–XII** კურიკულუმებში ციფრული სასწავლო რესურსების (**Khan Academy, GeoGebra,** „ტელესკოლა“, **YouTube**-ის ვიდეოგაკვეთილები, **El.ge**) ჩართვა კონკრეტული თემების მიხედვით. ეს განსაკუთრებით სასარგებლო იქნება ალგებრის, ტრიგონომეტრიისა და სტატისტიკის სასწავლო შედეგების მისაღწევად. სასურველია რესურსების მითითების ერთიანი სტილის ჩამოყალიბება სამივე საფეხურზე, დაკონკრეტდეს თემა-საკითხის მიხედვით (მაგ. შესაძლოა ყველა რესურს გაუკეთდეს მსგავსი აღწერა: „ხანის აკადემიის ვიდეო: URL მისამართი; თემა: სამკუთხედების მსგავსება)
N.2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**სახელმწიფო ენა:** სასურველია, დიფერენცირებული მიდგომების უფრო მიზნობრივი და სისტემური დანერგვა, განსაკუთრებით დავალებების დონეზე. სასურველია, რომ ერთსა და იმავე თემაზე მოსწავლეებს მიეცეთ

		განსხვავებული სირთულის, ფორმატის ან მხარდაჭერის მქონე დავალებები, რაც უკეთ გაითვალისწინებს მათი ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და საჭიროებებს.კონკრეტულად, შესაძლებელია: • ერთი დავალების რამდენიმე ვარიანტის შეთავაზება (მარტივი, საშუალო, რთული); • არჩევითი დავალებების გამოყენება, სადაც მოსწავლე თავად ირჩევს მისთვის შესაფერის ფორმატს (ტექსტი, პრეზენტაცია, პროექტი და სხვ.); • დამატებითი დამხმარე მასალების (სქემები, მინიშნებები, მაგალითები) შეთავაზება იმ მოსწავლეებისთვის, ვისაც მეტი მხარდაჭერა სჭირდება; • მაღალი მიღწევის მოსწავლეებისთვის გაფართოებული ან შემოქმედებითი ტიპის დავალებების ჩართვა; ასევე სასურველია, დიფერენცირება აისახოს წინასწარ დაგეგმვაში (კურიკულუმისა და გაკვეთილის გეგმებში) და არა მხოლოდ პროცესის მიმდინარეობისას. ეს ხელს შეუწყობს თითოეული მოსწავლის აქტიურ ჩართულობასა და პროგრესზე ორიენტირებულ პროცესს. **მათემატიკა:** სასურველია სკოლამ უზრუნველყოს, რომ საგნობრივი კურიკულუმი და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ერთმანეთთან შეთანხმებული იყოს და მასწავლებლებს ჰქონდეთ სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის კონკრეტული სტრატეგიები.

N.2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია საგან მოქალაქეობაში შეფასების რუბრიკები შეუსაბამოთ საგნობრივ სამიზნე ცნებებს **ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში თითოეული თემის ფარგლებში შემუშავდეს სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები, მკაფიოდ და დეტალურად ფორმულირებული კრიტერიუმებით, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის მეტ სიცხადეს, ობიექტურობასა და შედეგებზე ორიენტირებულობას. **მათემატიკა:** სასურველია სკოლამ შეიმუშაოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ყველა კლასისა და ყველა თემისთვის, ასევე, სასურველია, შეფასების კრიტერიუმები ყველა კლასის მოსწავლეს სისტემატურად ეცნობოდეს თემის დაწყებამდე, სასწავლო პროცესის ეფექტიანობის მიზნით.
N.2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**მათემატიკა:** სასურველია სკოლის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს, რომ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები რეალურად გამოიყენებოდეს სასწავლო პროცესის წარმართვისას და არა მხოლოდ დოკუმენტაციის მიზნით. ამისათვის სასურველია ადმინისტრაციამ პერიოდულად გადაამოწმოს, თუ რამდენად ეყრდნობა მასწავლებელი კურიკულუმს პრაქტიკაში.

N.2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	***ესთეტიკური აღზრდა:*** სასურველია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში თითოეულ ქულას ახლდეს შესაბამისი აღწერა (რა შემთხვევაში იწერება 1, 2, 3 და ა.შ. ქულა), რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის უფრო მაღალ ობიექტურობას, გამჭვირვალობასა და სიზუსტეს. **სახელმწიფო ენა:** სასურველია უფრო აქტიურად გამოიყენოს სკოლამ შეფასების სხვა ფორმები, როგორებიცაა თვითშეფასება, მოსწავლეთა შეფასება და სხვა. **მათემატიკა:** სასურველია შეფასების რუბრიკები შემუშავდეს ყველა კლასისა და თემებისთვის, რათა შეფასების სისტემა სკოლაში თანმიმდევრული და სისტემური იყოს. ასევე სასურველია შეფასების კრიტერიუმები ყველა კლასის, ყველა მოსწავლეს თემის დაწყებამდე გაეცნოთ - ეს პრაქტიკა შეფასებას უფრო გამჭვირვალეს და სამართლიანს გახდის.
N.2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**მათემატიკა:** სასურველია სკოლის სასწავლო გეგმაში მიეთითოს ან ცალკე დოკუმენტში აღიწეროს, რომ რესურსების შერჩევა ხდება გუნდურად ან პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის გზით.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი**	***რჩევა***

	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	
ინდიკატორი N....		
N..2.1.1.1	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას	წარმოდგენილი მეთოდოლოგია უფრო მეტად კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაა, ვიდრე შემუშავების. სასურველია, მეტი აქცენტი გაკეთდეს შემუშავების პროცესზე.
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** : სასურველია, სკოლამ წარმოდგენილი მე-12 კლასის ისტორიისა და საქართველოს ისტორიის კურიკულუმი, რომელიც ერთ დოკუმენტადაა გაწერილი, დააცალკევოს და ცალ-ცალკე კურიკულუმად გაწეროს . **მათემატიკა: სასურველია** სასურველია საშუალო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმებში დაემატოს სკოლის რეალურ გარემოზე მორგებული, პრაქტიკული დავალებები. სასურველია, რომ დავალებები დაეფუძნოს მოსწავლეთა რეალურ სიტუაციებს - მაგ. ქალაქ თბილისის გარემოს, ბიუჯეტის დაგეგმვას, ან სტატისტიკური მონაცემების ანალიზს და ა.შ. გარდა ამისა, სასურველია ტექნიკური ერთიანობის უზრუნველყოფა: დაინერგოს სამივე საფეხურზე საერთო სტანდარტი კურიკულუმებში სვეტების სათაურებისთვის, ცხრილების ფორმატისთვის და ტექსტის სიდიდისთვის. ერთნაირი შაბლონი დოკუმენტს უფრო გასაგებს და

		გამოსაყენებელს გახდის.
2.1.2..2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**მათემატიკა:** XII კლასის კურიკულუმი დასათაურებულია 2023-2024 სასწავლო წლით, ხოლო დანარჩენი კლასების კურიკულუმები 2025-2026 წელს ეხება. სასურველია XII კლასის კურიკულუმი განახლდეს მიმდინარე სასწავლო წლის შესაბამისად, ასევე სასურველია სკოლის ადმინისტრაციამ პერიოდულად გადაამოწმოს, რამდენად შეესაბამება სასწავლო პროცესი კურიკულუმში დაგეგმილს, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტის პრაქტიკულ გამოყენებას.
N.2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**მათემატიკა:** სასურველია **VII–XII** კურიკულუმებში ციფრული სასწავლო რესურსების (**Khan Academy, GeoGebra,** „ტელესკოლა“, **YouTube**-ის ვიდეოგაკვეთილები, **El.ge**) ჩართვა კონკრეტული თემების მიხედვით. ეს განსაკუთრებით სასარგებლო იქნება ალგებრის, ტრიგონომეტრიისა და სტატისტიკის სასწავლო შედეგების მისაღწევად. სასურველია რესურსების მითითების ერთიანი სტილის ჩამოყალიბება სამივე საფეხურზე, დაკონკრეტდეს თემა-საკითხის მიხედვით (მაგ. შესაძლოა ყველა რესურს გაუკეთდეს მსგავსი აღწერა: „ხანის აკადემიის ვიდეო: URL მისამართი; თემა: სამკუთხედების მსგავსება)
N.2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	***სახელმწიფო ენა:*** სასურველია, დიფერენცირებული მიდგომების უფრო მიზნობრივი და სისტემური დანერგვა, განსაკუთრებით დავალებების დონეზე. სასურველია, რომ ერთსა და იმავე თემაზე მოსწავლეებს მიეცეთ განსხვავებული სირთულის, ფორმატის ან მხარდაჭერის მქონე

		დავალებები, რაც უკეთ გაითვალისწინებს მათი ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. კონკრეტულად, შესაძლებელია: • ერთი დავალების რამდენიმე ვარიანტის შეთავაზება (მარტივი, საშუალო, რთული); • არჩევითი დავალებების გამოყენება, სადაც მოსწავლე თავად ირჩევს მისთვის შესაფერის ფორმატს (ტექსტი, პრეზენტაცია, პროექტი და სხვ.); • დამატებითი დამხმარე მასალების (სქემები, მინიშნებები, მაგალითები) შეთავაზება იმ მოსწავლეებისთვის, ვისაც მეტი მხარდაჭერა სჭირდება; • მაღალი მიღწევის მოსწავლეებისთვის გაფართოებული ან შემოქმედებითი ტიპის დავალებების ჩართვა; ასევე სასურველია, დიფერენცირება აისახოს წინასწარ დაგეგმვაში (კურიკულუმისა და გაკვეთილის გეგმებში) და არა მხოლოდ პროცესის მიმდინარეობისას. ეს ხელს შეუწყობს თითოეული მოსწავლის აქტიურ ჩართულობასა და პროგრესზე ორიენტირებულ პროცესს. **მათემატიკა:** სასურველია სკოლამ უზრუნველყოს, რომ საგნობრივი კურიკულუმი და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ერთმანეთთან შეთანხმებული იყოს და მასწავლებლებს ჰქონდეთ სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის კონკრეტული სტრატეგიები.
N.2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია

	გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	საგან მოქალაქეობაში შეფასების რუბრიკები შეუსაბამოთ საგნობრივ სამიზნე ცნებებს **მათემატიკა:** სასურველია სკოლამ შეიმუშაოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ყველა კლასისა და ყველა თემისთვის, ასევე, სასურველია, შეფასების კრიტერიუმები ყველა კლასის მოსწავლეს სისტემატურად ეცნობოდეს თემის დაწყებამდე, სასწავლო პროცესის ეფექტიანობის მიზნით.
N.2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**მათემატიკა:** სასურველია სკოლის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს, რომ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები რეალურად გამოიყენებოდეს სასწავლო პროცესის წარმართვისას და არა მხოლოდ დოკუმენტაციის მიზნით. ამისათვის სასურველია ადმინისტრაციამ პერიოდულად გადაამოწმოს, თუ რამდენად ეყრდნობა მასწავლებელი კურიკულუმს პრაქტიკაში.
N.2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**სახელმწიფო ენა:** სასურველია უფრო აქტიურად გამოიყენოს სკოლამ შეფასების სხვა ფორმები, როგორებიცაა თვითშეფასება, მოსწავლეთა შეფასება და სხვა. **მათემატიკა:** სასურველია შეფასების რუბრიკები შემუშავდეს სხვა კლასებისა და თემებისთვისაც, რათა შეფასების სისტემა სკოლაში თანმიმდევრული

		და სისტემური იყოს. ასევე სასურველია შეფასების კრიტერიუმები ყველა კლასის, ყველა მოსწავლეს თემის დაწყებამდე გაეცნოთ - ეს პრაქტიკა შეფასებას უფრო გამჭვირვალეს და სამართლიანს გახდის.
N.2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**მათემატიკა:** სასურველია სკოლის სასწავლო გეგმაში მიეთითოს ან ცალკე დოკუმენტში აღიწეროს, რომ რესურსების შერჩევა ხდება გუნდურად ან პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის გზით.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2026 წლის 15 მაისს შემოსული კორესპონდენცია ეხება ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის No87 საჯარო სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. დაწესებულება დაეთანხმა დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს და სრულად გაიზიარა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა.

სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში წარმოდგენილია:
1. **N 1.1.1.3** ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განსაზღვრულია დაწყებისა და დასრულების (დასრულების თარიღი - 2026 წლის სექტემბერი) თარიღები, რესურსები და აღნიშნულია, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკი არის რეაგირების დაგვიანება - 10%.

სტანდარტთან სრულ შესაბამისობაში მოსაყვანად, სკოლის სამუშაო ჯგუფი გააანალიზებს სკოლის ფილოსოფიის შემუშავების/გადახედვის მიზნით ჩატარებული გამოკითხვის შედეგებს; მოხდება სკოლის ფილოსოფიის განხილვა სკოლის სტრუქტურული ერთეულების მიერ.
ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია. შესაბამისად, ინდიკატორი N1.1.1.3 შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

2. **N 1.2.1.2** ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განსაზღვრულია დაწყებისა და დასრულების თარიღები (დასრულების თარიღი - 2026 წლის სექტემბერი) და რესურსები. ასევე აღნიშნულია, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკი არის რეაგირების დაგვიანება - 10%.

სტანდარტთან სრულ შესაბამისობაში მოსაყვანად, სკოლა მითითებულ ვადებში უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცებას მოქმედი კანონმდებლობის და სკოლის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის მოთხოვნების შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია. შესაბამისად, ინდიკატორი N **1.2.1.2** შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

3. N **1.2.1.3** ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განსაზღვრულია დაწყებისა და დასრულების თარიღები (დასრულების თარიღი - 2026 წლის სექტემბერი) და რესურსები. ასევე აღნიშნულია, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკი არის რეაგირების დაგვიანება - 10%.
სტანდარტთან სრულ შესაბამისობაში მოსაყვანად, სკოლა მითითებულ ვადებში უზრუნველყოფს, რომ სკოლის სამოქმედო გეგმა გამომდინარეობდეს სტრატეგიული გეგმიდან. ამისთვის 1. სამუშაო ჯგუფი გადახედავს სამოქმედო გეგმას; 2. მოხდება სამეურვეო საბჭოზე განხილვა და დამტკიცება.
ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია. შესაბამისად, ინდიკატორი N **1.2.1.3** შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

4. **N 3.4.1.2** ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა, განსაზღვრულია დაწყებისა და დასრულების თარიღები (დასრულების თარიღი-2026 წლის სექტემბერი) და რესურსები. ასევე აღნიშნულია, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკი არის რეაგირების დაგვიანება - 10%.
სტანდარტთან სრულ შესაბამისობაში მოსაყვანად, სკოლა მითითებულ ვადებში უზრუნველყოფს შირმის შეძენას ექიმის კაბინეტისთვის.
ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია. შესაბამისად, ინდიკატორი N 3.4.1.2 შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

5. **N 3.5.1.4** ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა, განსაზღვრულია დაწყებისა და დასრულების თარიღები (დასრულების თარიღი-2028 წლის მაისი) და რესურსები. ასევე აღნიშნულია, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკი არის რეაგირების დაგვიანება - 30%.
სტანდარტთან სრულ შესაბამისობაში მოსაყვანად, სკოლა მითითებულ ვადებში უზრუნველყოფს სკოლის შენობაში ლიფტის ან პანდუსის დამონტაჟებას.
ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია. შესაბამისად, ინდიკატორი N 3.5.1.4 შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისი.

6. **N 2.2.2.3** ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა, განსაზღვრულია დაწყებისა და დასრულების თარიღები (დასრულების თარიღი-2027 წლის აპრილი) და რესურსები. ასევე აღნიშნულია, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკი არის რეაგირების დაგვიანება - 20%.
ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია. შესაბამისად, ინდიკატორი N 2.2.2.3 შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში ასევე წარმოადგინა უკვე გათვალისწინებული საკითხები, კერძოდ:

3.1.2.3 ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლას გაწერილი აქვს, თუ რა დოკუმენტებისგან უნდა შედგებოდეს პერსონალის პირადი საქმე. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა დოკუმენტები, რომლებიც ვიზიტის პერიოდში არ ინახებოდა მასწავლებელთა პირად საქმეებში. კერძოდ, სამი მასწავლებლის ნასამართლეობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები.
ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია. შესაბამისად, ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.

3.1.2.4 ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება როგორც მოქმედ კანონმდებლობას, ისე დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია. შესაბამისად, ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.
3.4.1.1 ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა ფოტო მასალა, რომლითაც დასტურდება რომ სკოლის შენობის სხვენი ჩაკეტილია.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია. შესაბამისად, ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.

3.4.1.1 ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ ასევე წარმოადგინა დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებულია უფლებამოსილ უწყებასთან.
ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია. შესაბამისად, ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.

3.4.1.4 ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა ფოტო მასალა, რომლთაც დასტურდება, რომ სკოლის შენობაში, დერეფნებსა და საკლასო ოთახებში არ არის განთავსებული ხატები.
ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია. შესაბამისად, ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.

3.4.1.6 ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი.
ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია. შესაბამისად, ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.

3.6.2.1 ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა საქმისწარმოების წესი, რომელიც 2026 წლის 13 მაისს არის დამტკიცებული. აღნიშნული წესი კანონმდებლობის შესაბამისია.
ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია. შესაბამისად, ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.

4.2.1.6 ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების უკუკავშირის მიღებისთვის შემუშავებული კითხვარები. შესაბამისად, მზაობა, რომ სკოლამ უკუკავშირის საფუძველზე გააუმჯობესოს მოსწავლეთა მომსახურება, დასტურდება.
ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია. შესაბამისად, ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.

1.1.1.3 *ინდიკატორთა მიმართებით დასკვნის პროექტში ექსპერტთა ჯგუფს გაცემული ჰქონდა რჩევა, სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესისთვის გამოსაყენებელი მოსწავლეებისთვის განკუთვნილ კითხვარში ასაკობრივი თავისებურების გათვალისწინების შესახებ.*

სკოლამ გაითვალისწინა ეს რჩევა და წარმოადგინა კითხვარები, რომლებიც მორგებულია ასაკობრივ თავისებურებებს.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია
1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები
1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მისია, „აღზარდოს შემწყნარებელი, მაღალი ზნეობის, კრიტიკულად მოაზროვნე, ეროვნული ტრადიციების ერთგული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე კონკურენტუნარიანი პიროვნება, რომელიც მზად იქნება საერთაშორისო მრავალფეროვან სივრცეში ინტეგრაციისათვის“, შეესაბამება ზოგადი განათლების შემდეგ ეროვნულ მიზანს: „ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებების მქონე, ოჯახის, ქართული ტრადიციის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების, სახელმწიფო ენის, საქართველოს ისტორიის და კულტურის მცოდნე, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და პატრიოტი მოქალაქის აღზრდა“.

სკოლის ხედვა: „სკოლა შეძლებს თავისუფალ და შემოქმედებით გარემოში, მოსწავლეთა აღჭურვას 21-ე საუკუნის კომპეტენციებითა და გლობალურ-ფუნქციური უნარებით“ შეესაბამება ზოგადი განათლების შემდეგ ეროვნულ მიზანს:“ დემოკრატიის საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების მატარებელი, მაღალი სამოქალაქო ცნობიერების მქონე, ტოლერანტი, სამართლიანი მოქალაქის აღზრდა, რომელიც ამ ღირებულებებს აკავშირებს სახელმწიფოებრიობასთან, პატრიოტიზმთან და საკაცობრიო იდეალებთან“.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის ხედვაში ხაზგასმულია, რომ სკოლა ქმნის თავისუფალ და შემოქმედებით გარემოს. ასევე სკოლის ხედვაში ვკითხულობთ, რომ სკოლა საკუთარ პრაქტიკაში გეგმავს ინოვაციური და ტრადიციული სწავლების მეთოდების, სტრატეგიებისა და მიდგომების გამოყენებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლამ წარმოადგინა ერთ-ერთი კლასის მშობელთა კრების ოქმი (ოქმი #1, 22.09.2025), რომელიც ადასტურებს, რომ მშობლები გაეცნენ სკოლის ფილოსოფიას. თუმცა, აღნიშნული დოკუმენტი არ არის მტკიცებულება მშობლების რეალური ჩართულობის შესახებ მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში. ფოკუსჯგუფის დროს მშობლებმა ასევე აღნიშნეს რომ პირველ მშობელთა კრებაზე სკოლამ მათ გააცნო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, თუმცა აღნიშნული არ ადასტურებს შემუშავების პროცესში მათ ჩართულობას.

ვიზიტის დროს სკოლამ დამატებით წარმოადგინა მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების კითხვარები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია სკოლის ფილოსოფიასთან დაკავშირებული სასკოლო საზოგადოების მოსაზრებების შესასწავლად. თუმცა, წარმოდგენილი მასალებიდან არ იკვეთება, რამდენად და როგორ იქნა გამოყენებული ეს კითხვარები, შეავსეს თუ არა ისინი და როგორ იქნა გამოყენებული მიღებული მონაცემები სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების ფორმირების პროცესში.

სკოლამ მიერ წარმოდგენილ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში წარმოდგენილია N1.1.1.3 ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განსაზღვრულია დაწყებისა და დასრულების თარიღები (2026 წლის სექტემბერი), რესურსები და აღნიშნულია, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკი არის რეაგირების დაგვიანება - 10%.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია. შესაბამისად, ინდიკატორი N1.1.1.3 შეფასდა როგორც **მეტწილად შესაბამისი.**

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, *სრულად უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობების განხორციელება* 2026 წლის სექტემბრამდე. *კერძოდ, სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელდეს სკოლის ფილოსოფიის შემუშავების/გადახედვის მიზნით ჩატარებული გამოკითხვის შედეგების ანალიზი და სკოლის ფილოსოფიის განხილვა სკოლის სტრუქტურული ერთეულების მიერ.*

ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტის პერიოდში გაცემული ჰქონდა რჩევა:

სასურველია სკოლამ სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესისთვის გამოსაყენებელი მოსწავლეებისთვის განკუთვნილი კითხვარი უკეთ მოარგოს ასაკობრივ თავისებურებებს. კერძოდ, საჭიროა ენის გამარტივება და ინსტრუქციების ადაპტირება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის. მაგალითად, კითხვარში მოცემულია შეკითხვა: „გთხოვთ, შემოგვთავაზოთ მისიის (მისიის პროექტის) თქვენი ვარიანტი“, რომელიც რთულად აღსაქმელია განსაკუთრებით დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის. კითხვარი ერთიანად მოიცავს I–XII კლასებს.

სკოლამ გაითვალისწინა ეს რჩევა და წარმოადგინა კითხვარები, რომლებიც მორგებულია ასაკობრივ თავისებურებებს.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

   სკოლამ წარმოადგინა ერთ-ერთი კლასის მშობელთა კრების ოქმი (ოქმი №1, 22.09.2025), რომელიც ადასტურებს, რომ მშობლები გაეცნენ სკოლის ფილოსოფიას და იზიარებენ მას.

ასევე, სასკოლო სასწავლო გეგმის დოკუმენტში წარმოდგენილია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, რაც მიუთითებს მათ გაზიარებას სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე თვალსაჩინო ადგილსა. გარდა ამისა, ისინი გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე, რათა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მარტივად შეეძლოს მათი გაცნობა. შესაბამისად, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებთან შეხვედრებისას აცნობენ სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს მათ. გასაუბრებისას აღნიშნული დაადასტურეს სკოლის მოსწავლეთა მშობლებმაც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

საჯარო რეესტრის ამონაწერიდან დგინდება, რომ სკოლის სახელწოდებაა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - "სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის №87 საჯარო სკოლა", რაც გამომდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებიდან ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ". შესაბამისად სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- ფოტო-მასალა სკოლის ფოიედან
- სკოლის ვებ.გვერდი https://shorturl.at/YkCJE
- დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა

- მშობელთა კრების ოქმი #1 (22.09.2025)
- *სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესისთვის გამოსაყენებელი მოსწავლეებისთვის განკუთვნილი კითხვარი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოვლინდა, რომ სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია არ იყო დაზუსტებული და მასში არ იკვეთებოდა სკოლის კონტექსტის გათვალისწინება.

სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია და ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის განახლებული ვერსია, რომელშიც ვკითხულობთ, რომ „სტრატეგიული დაგეგმვა წარმოადგენს თანამონაწილეობით პროცესს და ხორციელდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით“.

დოკუმენტში მითითებულია, რომ „სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მაქსიმალურად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრთა მოლოდინს, რისთვისაც, სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების წევრებს ამ წესის მე-4 მუხლის შესაბამისად და უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მათ ჩართულობას ან/და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში შემუშავებული დოკუმენტების მათთვის გაზიარებას“.

მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დაწყებამდე დირექტორი ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომლის წევრთა ნაწილი შერჩეულია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებისგან და ჯგუფი მტკიცდება ბრძანებით. ბრძანებით განისაზღვრება სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა, მათ შორის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და წევრები, ასევე სამუშაოს შესრულების ფარგლები და უფლებამოსილების ვადა. დოკუმენტის მიხედვით, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა შესაძლებელია პერიოდულად განახლდეს დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე, რომელიც პასუხისმგებელია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის კოორდინაციაზე, სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კომუნიკაციის უზრუნველყოფაზე და საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მხარდაჭერაზე. ჯგუფის შემადგენლობაში შედიან დირექციისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლები, კათედრების მასწავლებლები, მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი და მშობელი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სასურველია მეთოდოლოგიაში განსაზღვრული იყოს სასკოლო საზოგადოების წევრებისგან ინფორმაციის მოპოვების საშუალებები (მაგალითად, კითხვარები, ინტერვიუ და სხვა) და მიღებული ინფორმაციის ანალიზის ფორმები.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.

სკოლის ხედვაში ხაზგასმულია ინოვაციური და ტრადიციული სწავლების მეთოდების, სტრატეგიებისა და მიდგომების გამოყენების მნიშვნელობა. ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება. ასევე, სკოლის ფილოსოფიაში მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება თავისუფალი და შემოქმედებითი გარემოს უზრუნველყოფაზე, ხოლო ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული სასწავლო გარემოს შექმნა.

სკოლის მიერ განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; ადამიანური რესურსის განვითარება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება; მოსწავლეთა მხარდაჭერის სისტემის გაუმჯობესება; ორგანიზაციული განვითარება.

თითოეული მიზნისთვის განსაზღვრულია შესაბამისი ამოცანები. მაგალითად, „სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების“ მიზნის ფარგლებში გათვალისწინებულია ახალი პროგრამების შემუშავება/დანერგვა და სასწავლო პროცესის მონიტორინგი, მიღებული შედეგების საფუძველზე შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება. „სასკოლო საზოგადოების ჩართულობის“ მიზანთან მიმართებით განსაზღვრულია მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტივობების გაძლიერება, მშობელთა ჩართულობის გაზრდა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში, მშობლებთან კომუნიკაციის ფორმების დახვეწა, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა და მართვის კოლეგიური ორგანოების გაძლიერება. „ორგანიზაციული განვითარების“ მიმართულებით კი გათვალისწინებულია სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, სკოლის ცნობადობის ამაღლება და სრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და მონიტორინგის პროცესისთვის მომზადება.

დოკუმენტში ცალკე არის გამოყოფილი „სკოლის მიზნები“, რაც ქმნის შინაარსობრივ დუბლირებას და გარკვეულწილად დამაბნეველ ხასიათს ატარებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სტრატეგიული მიზნები ფორმულირებულია როგორც მიმართულებები.

ასევე იკვეთება შინაარსობრივი გადაფარვა სტრატეგიულ მიზნებსა და შესაბამის ამოცანებს შორის. მაგალითად, მიზანი „სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება“ და ამოცანა „სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა“ შინაარსობრივად ერთმანეთს იმეორებს. გარდა ამისა, ზოგიერთი ამოცანა თავისი შინაარსით ყოველდღიური საქმიანობის ხასიათს ატარებს და არ შეესაბამება სტრატეგიული გეგმის დონეს (მაგალითად, „უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა“).

სკოლას თითქმის ყველა მიზანი და ამოცანა (ერთის გარდა) განაწილებული აქვს ყველა წელზე, რაც ამცირებს პრიორიტეტიზაციისა და ეტაპობრივი განხორციელების ლოგიკას.

სტრატეგიული გეგმა არ არის დამტკიცებული უფლებამოსილი პირის/სტრუქტურული ერთეულის მიერ.
კანონმდებლობის მიხედვით, სკოლის დირექტორი ვალდებულია, სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს სკოლის განვითარების სტრატეგია.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ და განხილულია სასკოლო საზოგადოების მიერ-სასკოლო საზოგადოების წევრი არის როგორც მოსწავლე, ისე მშობელი, მასწავლებელი და ყველა სხვა თანამშრომელი. დასაზუსტებელია რომელი კოლეგიალური ორგანოს მიერაა განხილული სტრატეგიული განვითარების გეგმა.

სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში სკოლას წარმოდგენილი აქვს N 1.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განსაზღვრულია დაწყებისა და დასრულების თარიღები (დასრულება - 2026 წლის სექტემბერი) და რესურსები. ასევე აღნიშნულია, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკი არის რეაგირების დაგვიანება - 10%.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, *სრულად უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობების განხორციელება მითითებულ ვადებში. კერძოდ,* სტრატეგიული განვითარების გეგმა დაამტკიცოს მოქმედი კანონმდებლობის და სკოლის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის მოთხოვნების შესაბამისად.
ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

რჩევები:

- სასურველია, სკოლამ სტრატეგიული მიმართულებები ჩამოაყალიბოს როგორც სტრატეგიული მიზნები და „სკოლის მიზნების“ ცალკე კატეგორია ამოიღოს სტრატეგიული გეგმიდან.
- სასურველია, რომ სტრატეგიული მიზნები და ამოცანები შინაარსობრივად არ იმეორებდეს ერთმანეთს.
- სასურველია სკოლამ უზრუნველყოს მიზნებისა და ამოცანების ეტაპობრივი განაწილება წლების მიხედვით, რათა თითოეული მათგანის განხორციელება იყოს რეალისტიური.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლის სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი, თუმცა იგი არ ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას. თავად დოკუმენტშიც აღნიშნულია, რომ „სკოლაში არსებული ობიექტური მიზეზების გათვალისწინებით (ჯერ არ არის შემუშავებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა), წინამდებარე დოკუმენტი ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებსა და პრაქტიკულ

გამოცდილებას. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავებისთანავე მოხდება ერთწლიანი გეგმის მასთან შესაბამისობაში მოყვანა“. აღნიშნული გარემოება ინტერვიუს პროცესშიც დაადასტურეს სკოლის წარმომადგენლებმა.

აღსანიშნავია, რომ სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებულია 2025 წლის 30 დეკემბერს, ხოლო ერთწლიანი სამოქმედო გეგმა - 2025 წლის 16 სექტემბერს. აღნიშნული ქრონოლოგია ბუნდოვანებას ქმნის: ერთის მხრივ, გაურკვეველია, რატომ შემუშავდა ერთწლიანი გეგმა სტრატეგიული განვითარების გეგმის გარეშე; მეორეს მხრივ, სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შემდეგ არ იკვეთება ერთწლიანი გეგმის გადახედვისა და მასთან შესაბამისობაში მოყვანის მცდელობა.

დამატებით, ბუნდოვანებას იწვევს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული სამეურვეო საბჭოს ოქმის (ოქმი №4, 16.09.2025) შინაარსიც. კერძოდ, დღის წესრიგის მეორე საკითხად მითითებულია სკოლის სამოქმედო გეგმის დამტკიცება, თუმცა წარმოდგენილი ჩანაწერის მიხედვით გამომსვლელი - სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე - საუბრობს უკვე განხორციელებული საქმიანობის მონიტორინგსა და შეფასებაზე („წარმოდგენილი პუნქტების უმეტესი ნაწილი შესრულებულია, ზოგი კი ნაწილობრივ შესრულდა“), რაც უფრო წინა პერიოდის ანგარიშგებას შეესაბამება და არა ახალი სამოქმედო გეგმის განხილვა-დამტკიცების პროცესს.

სკოლას სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში წარმოდგენილი აქვს N **1.2.1.3** ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განსაზღვრულია დაწყებისა, დასრულების თარიღები (დასრულების თარიღი-2026 წლის სექტემბერი) და რესურსები. ასევე აღნიშნულია, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკი არის რეაგირების დაგვიანება - 10%.
შესაბამისად, ინდიკატორი N **1.2.1.3** შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

სკოლას მიეცა **რეკომენდაცია,** სტანდარტთან სრულ შესაბამისობაში მოსაყვანად, მითითებულ ვადებში უზრუნველყოს, რომ სკოლის სამოქმედო გეგმა დაეფუძნოს სტრატეგიული გეგმას.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია
- სტრატეგიული განვითარების გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სამეურვეო საბჭოს ოქმი (ოქმი №4, 16.09.2025)

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

   როგორც სტრატეგიული დადგეგმარების მეთოდოლოგიაშია მითითებული, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ: სამი წლის შემდეგ და შვიდი წლის შემდეგ. ხოლო სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას სკოლა ახორციელებს სასწავლო წლის ბოლოს.

   სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარესთან წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ და შესაბამის მტკიცებულებებს.
   წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის/სამი წლის ბოლოს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით და წარედგინება დირექტორს, რომელიც მიღებულ ინფორმაციას დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს.
მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ იწყება შეფასების პროცესი. მონიტორინგის ფარგლებში შეგროვებული ანგარიშები გასაანალიზებლად გადაეცემა სამუშაო ჯგუფს, რომელიც შინაარსობრივად სწავლობს შეგროვებულ ინფორმაციას და წარმოადგენს შუალედურ ანგარიშს. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულ ანგარიშებზე დაყრდნობით, დირექტორის სახელზე წარადგენს ინიცირების წერილს სამოქმედო/სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

ვიზიტის პერიოდში ჯერ არ იყო დამდგარი სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიით განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების ვადები, შესაბამისად, აღნიშნული **ინდიკატორი ამ ეტაპზე ვერ იქნა შეფასებული.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

ვიზიტის პერიოდში ჯერ არ იყო დამდგარი მეთოდოლოგიით განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების ვადები, შესაბამისად, ვერ მოხერხდა შეფასება იმისა, თუ რამდენად გამოიყენება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორი ამ ეტაპზე ვერ შეფასდა.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
3.1. პერსონალის მართვა
3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლამ ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები გაითვალისწინა და გამოსცა შესაბამისი ბრძანება (#2-122, 02.04.2026) - „სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების წესის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნულ დოკუმენტში მკაფიოდ არის განსაზღვრული სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და შესაბამისი პირების ფუნქციები. თუმცა, დოკუმენტი არ მოიცავს მრჩეველთა საბჭოს ფუნქციებს.

სკოლა ცალკე ბრძანებით არეგულირებს მრჩეველთა საბჭოს ფუნქციებს - ბრძანება #2-505 (09.10.2025)-სკოლაში მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ.

სკოლაში ვიზიტას ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო თვითმართველობის და დისციპლინური კომიტეტის დებულებებსაც, სადაც აღწერილია მოსწავლეთა თვითმმართველი ორგანოსა და დისციპლინური კომიტეტის ფუნქციები.

რჩევა: სასურველია სკოლამ სკოლაში მოქმედი ყველა სტრუქტურული ერთეულის/პირის ფუქცია ერთ დოკუმენტში გაწეროს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული/თანამდებობრივი ინსტრუქციებით გადანაწილებული ფუნქციები და პასუხისმგებლობები ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიან განხორციელებას. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ დასაქმებული პირებისათვის მკაფიოა მათთვის დაკისრებული მოვალეობები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიან წარმართვას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის ბრძანება #2-122, 02.04.2026
- სკოლის სტრუქტურის ორგანიგრამა
- პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები
- დირექტორის ბრძანება #2-505 (09.10.2025)

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**
   დაწესებულებას დამტკიცებული აქვს სკოლის პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი. დოკუმენტის მიხედვით, პერსონალის მართვის პოლიტიკა წარმოადგენს იმ მიზანთა ერთობლიობას, რომელთა მიღწევაც სურს სკოლას საკადრო მიმართულებით და ამ მიზნების მისაღწევად შესასრულებელ კონკრეტულ ამოცანებს.
   დოკუმენტით გაწერილია ისეთი საკითხები როგორიცაა სკოლის მიერ ვაკანსიის გამოცხადების, პერსონალის მოზიდვის, შერჩევისა და დანიშვნის წესი და სხვ.
   სკოლის შინაგანწესით რეგულირდება შემდეგი საკითხები: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო დღეს სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, დასვენების ხანგრძლივობა; ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; შრომის პირობების დაცვის წესები; წახალისების სახე, პასუხისმგებლობის სახე და მათი გამოყენების წესები და სხვ.

   ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა წესის რეალური გამოყენება სკოლის პრაქტიკაში და დადასტურდა რომ პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლა პერიოდულად ადგენს პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ მოსალოდნელ რისკებსა და შეიმუშავებს მათზე რეაგირების პოლიტიკას. სკოლა თავისივე კადრებს იყენებს როცა სჭირდება კონკრეტულ პოზიციაზე მყოფი თანამშრომლის დროებით ჩანაცვლება. სკოლის წარმომადგენლებმა ინტერვიუებისას აღნიშნულის მაგალითად მოიყვანეს, მასწავლებლების გაცდენები ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. მათი შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ დიდი სკოლაა, მასწავლებლების ჩანაცვლებას წინასწარ შედგენილი გრაფიკით ახერხებენ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი (სამეურვეო საბჭოს ოქმი #21, 28.01.2026), მასში გაწერილია სკოლის მიერ ვაკანსიის გამოცხადების ეტაპები. სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა გაწერილი, თუ რა დოკუმენტებისგან უნდა შედგებოდეს პერსონალის პირადი საქმე. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა 2026 წლის 13 მაისს დამტკიცებული (დირექტორის ბრძანება #2-233) დასაქმებულ პირთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა.
ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა თანამშრომელთა პირადი საქმეები. სამი მასწავლებლის პირად საქმეში არ იყო განთავსებული ნასამართლეობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული მასწავლებლების შესაბამისი დოკუმენტები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლის მასწავლებლები შერჩეულები არიან ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებლებთან გაფორმებულია შესაბამისი კატეგორიის ხელშეკრულებები. სკოლას არ ჰქონდა განსაზღვრული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგგუფის მიერ გაცემული

რეკომენდაცია და ვიზიტის პერიოდში გამოცდა ბრძანება (#2-122, 02.04.2026-თანამდებობრივი ინსტრუქციების წესის დამტკიცების შესახებ), რომლითაც დაარეგულირა აღნიშნული საკითხი.
თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებული იყო შესაძლებლობას (ბრძანება ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა 3 აპრილს ვიზიტის ბოლოს), გადაემოწმებინა სკოლა რამდენად იცავს აღნიშნულ წესს. სკოლას წესში უწერია რამდენიმე ისეთი საკვალიფიკაციო მოთხოვნა, რომელიც გადასამოწმებელია რამდენად ხორციელდება, მაგალითად, მოადგილესთან საკვალიფიკაციო მოთხოვნებში განსაზღვრულია მსგავს პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება; ბუღალტერთან - უმაღლესი განათლება ფინანსების/ეკონომიკის მიმართულებით; მსგავს პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება და სხვ.
სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება როგორც მოქმედ კანონმდებლობას, ისე დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლაში მიმდინარე პროცესების შესწავლითა და შესაბამის თანამშრომლებთან ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს. მაგალითად, სასკოლო საზოგადობის მონაწილეობა და თანამშრომლობა ჩანს შემდეგ პროცესებში: მასწავლებლის შერჩევა (კომისიის შექმნა, გასაუბრება, გადაწყვეტილების მიღება), კათედრების მუშაობა, კურიკულუმის შემუშავების პროცესი, კურიკულუმის განხორციელება და სხვ. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

როგორც მტკიცებულებების (გაკვეთილის შემდგომი უკუკავშირი) შესწავლით, ისე კათედრის ხელმძღვნელებსა და მასწავლებლებთან შეხვედრის შედეგებით, დასტურდება, რომ წარმატებული გამოცდილების გაზიარების მიზნით სკოლაში დანერგილია მასწავლებელთა ურთიერთდასწრება და უკუკავშირის სესიები.

შინაგანაწესის მე-11 მუხლი განსაზღვრავს თანამშრომელთა წახალისების გამოყენების წესი: განსაზღვრულია წახალისების შემთხვევები და ფორმები, მათ შორის მადლობის გამოცხადება, საპატიო სიგელით დაჯილდოება, ფულადი პრემიის გაცემა. შინაგანაწესის მე-12 მუხლი განსაზღვრავს მოსწავლეთა მიმართ წახალისების გამოყენების წესსა და ფორმებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწესებულების შინაგანაწესი (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს ოქმი #12, 10.09.2024)
- პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმით N21, 28.01.2026)
- დირექტორის ბრძანება #2-122 თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ
- დირექტორის ბრძანება #2-233 (13.05.2026)-დასაქმებულ პირთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება
3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლას დირექტორის N 2 -746 ბრძანებით (29.12.2025) დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასებისა და სასწავლო პროცესის შემდგომში გაუმჯობესების მიზნით, სკოლაში ყოველწლიურად ტარდება მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა გამოკითხვები. დოკუმენტში მითითებულია, რომ აღნიშნული გამოკითხვები ხელს შეუწყობს სკოლის საჭიროების გამოვლენას.
კათედრის ხელმძღვანელებთან, დირექტორსა და დირექტორის მოადგილესთან გასაუბრებით ვლინდება, რომ სკოლა მასწავლებელთა საჭიროებების დადგენისთვის იყენებს საგაკვეთილო დაკვირვებას, წარმოდგენილი აქვთ შესაბამისი დოკუმენტებიც-გაკვეთილის რეფლექსია და უკუკავშირი. როგორც პერსონალის მართვის დოკუმენტშია აღწერილი, სკოლა პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ახორციელებს თანამშრომელთა საჭიროების გამოვლენას. სკოლა თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას ახორციელებს ანალიზის საფუძველზე. რომელშიც ეხმარება შემდეგი სახის შეკითხვები: რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ თანამშრომლებს, რა შესაძლებლობები და საფრთხეები არსებობს, რომლებმაც შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინოს თანამშრომლების საქმიანობაზე?

ინდიკატორი დაკმყოფილებულია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

კათედრის ხელმძღვანელების თქმით, ისინი პროფესიული გავითარებისთვის ესწრებიან ტრენინგებს, მონაწილეობენ საგაკვეთილო დაკვირვებებში. სკოლას აღწერილი აქვს მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების დაგეგმის მექანიზმები პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში. შესაბამისად, დასტურდება სკოლის მზაობა, რომ რომ სკოლის პერსონალის პროფესიული განვითარება განახორციელოს გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

კათედრის თავმჯდომარეების ინტერვიუდან დასტურდება, რომ სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ წინსვლას, მაგალითად, უზიარებს ინფორმაციას სხვადასხვა შეხვედრების, ტრენინგების, ვებინარების შესახებ. დირექტორმა მოიყვანა

მაგალითი, რომ როდესაც თავად დაესწრება რაიმე ტრენინგს, რომელიც მასწავლებელს დაეხმარება, წინ წავიდეს პროფესიაში, აწყობს სამუშაო შეხვედრას და უზიარებს გამოცდილებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლას თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის მექანიზმი აღწერილი აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში. როგორც თანამშრომლებთან გასაუბრებისას გაირკვა, აღნიშნული მქანიზმი რეალურად ხორციელდება პრაქტიკაში, მაგალითისთვის, კათედრის თავმჯდომარე ახალ წევრს აცნობს კათედრის წევრებს, ასევე ხელს უწყობს იმ დამრიგებლის/დამრიგებლების გაცნობას, რომლის/რომლების კლასებშიც მოუწევს ახალ მასწავლებელს გაკვეთილების ჩატარება; აცნობს კათედრის დებულებას, აცნობს კათედრაზე არსებულ საგანმანათლებლო რესურსებს, უზიარებს საკონტაქტო ინფორმაციას და სხვ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

როგორც სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადასტურდა, სკოლაში გამოიყენება თვითრეფლექსია, ურთიერთდაკვირვება. პერსონალი გამოხატავს კონკრეტულ ინიციატივებს, რაც წახალისებულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმით N21, 28.01.2026)
- N 2 -746 ბრძანებით (29.12.2025) დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.
- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების შემდგომი რეფლექსია

- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების შემდგომი უკუკავშირი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

დირექტორის N 2 -746 ბრძანებით (29.12.2025) დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სკოლაში დანერგილია შიდა ხარისხის მართვის სისტემა, ე.წ. PDCA მიდგომა. პროცესი მოიცავს შემდეგ ნაბიჯებს: დაგეგმვა დასახული ამოცანების შესასრულებლად სკოლა გეგმავს ჩასატარებელ სამუშაოს (სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა) , რომელიც მოიცავს შესასრულებელ სამუშაოს, განხორციელების პერიოდს და პასუხისმგებელ პირებს. შემოწმების განხორციელება: შემოწმების განხორციელების დროს - სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით შემოწმდება: სკოლის ფილოსოფიის შესაბამისობა; კურიკულუმები, სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობა და ხარისხი; აკადემიური პერსონალი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში; მოსწავლეთა მხარდაჭრის სისტემა. სკოლის ფილოსოფიის შეფასებისას უნდა შემოწმდეს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები რამდენად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და აღნიშნულით რამდენად განსაზღვრავს საკუთარ როლს. ასევე ფასდება

კურიკულუმები, სწავლის/ სწავლების პროცესის მიმდინარეობა და ხარისხი; მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, მოსწავლეთა მხარდაჭრის სისტემა.

აღნიშნული პროცესების პრაქტიკასთან შესაბამისობა დასტურდება კათედრის ხელმძღვანელებთან, სკოლის დირექციასთან, დამრიგებლებთან ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრების შედეგად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებულია და აღწერილია, თუმცა მათი აღწერა ფრაგმენტულად და სხვადასხვა დოკუმენტშია გაბნეული (მათ შორის, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტში).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სასურველია სკოლამ უფრო მკაფიოდ და სისტემურად განსაზღვროს პროცესების კლასიფიკაცია - კერძოდ, გამიჯნოს, რომელი პროცესებია ძირითადი, რომელი მმართველობითი და რომელი დამხმარე, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი უკეთესი აღქმა და ეფექტიანი მართვა.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. აღნიშნული გაწერილია დაწესებულების შინაგანაწესში. სისტემის არსებობას ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიუებისას ადასტურებენ კლასის დამრიგებლები, სკოლის მშობლები, მოსწავლეები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გასაჩივრების უფლება. აგრეთვე, დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები, სადავო საკითხების გადაწყვეტის პირობები. უზრუნველყოფილია წერილობითი თანხმობის მოპოვება პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია მოსწავლის უფლება, მოითხოვოს ნიშნის ამაღლების სემესტრული გამოცდა და სხვ.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწესებულების შინაგანაწესი (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს ოქმი #12, 10.09.2024)
- დისციპლინური კომიტეტის ოქმები
- დაწესებულების სასკოლო სასწავლ გეგმა - 2025-2026

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

მასწავლებლებს, დამრიგებლებს, კათედრის ხელმძღვანელებს და სკოლის სხვა თანამშრომლებს ინფორმაცია მიეწოდებათ ელექტრონული ფოსტის გამოყენებით. ინფორმირებისა და უკუკავშირის მიღების საშუალებაა დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელში. მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებისათვის გამოიყენება ვებ გვერდი, ელექტრონული ჟურნალი, სოციალური ქსელის დახურული ჯგუფი. დირექტორის მოადგილეს ევალება სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებით სასკოლო საზოგადოებისთვის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი) ინფორმაციის მიწოდება სკოლაში დაგეგმილი აქტივობების შესახებ; საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის მშობელთან, ოჯახთან დროულად დაკავშირება; მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან კომუნიკაცია და შვილის შესახებ სხვადასხვა ინფორმაციის მიწოდება. სკოლაში შემუშავებულია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა და დისციპლინური კომიტეტი. სკოლაში სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები განიხილება და თანხმდება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა თითოეული კოლეგიალური ორგანოს მუშაობის ამსახველი მასალა, მათ შორის შეხვედრების ოქმები. მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრებისას ასევე დადასტურდა შესაბამის კოლეგიალურ ორგანოებში მათი ჩართულობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედაგოგიური საბჭოს ოქმი

- სამეურვეო საბჭოს ოქმი
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი
- დისციპლინური კომიტეტის ოქმი
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი-ბრძანება 2-748, 29.12.2025

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლა ფიზიკურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას უზრუნველყოფს ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური

უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფის მიზნით სკოლაში შექმნილია საგანგებო შტაბი. სკოლის შენობა-ნაგებობის და მიმდებარე ტერიტორიების დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ სკოლის გარე პერიმეტრი დაცულია უცხო პირებისაგან. სკოლაში შემოსასვლელად ფუნქციონირებს ვიზიტორთა აღრიცხვის ჟურნალი. სკოლას ყავს მანდატური და დარაჯი.

თუმცა, ვიზიტის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ შენობის სხვენი არ არის ჩაკეტილი, რაც უსაფრთხოების თვალსაზრისით წარმოადგენს რისკს. დაუცველი სივრცე ზრდის მოსწავლეთა პოტენციური დაზიანებებისა და ინციდენტების ალბათობას.

სკოლის წარმომადგენელთა განმარტებით, აღნიშნული მდგომარეობა განპირობებულია იმით, რომ სხვენის კარზე არსებული ბოქლომი დაზიანდა. მათი ინფორმაციით, საკითხზე რეაგირება უახლოეს ხანებშია დაგეგმილი.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა ფოტო მასალა, რომლითაც დასტურდება, რომ შენომის სხვენი ჩაკეტილია. შესაბამისად, აღნიშნული სივრცე არ არის საფრთხის შემცველი.

სკოლამ წარმოადგინა 2024 წლის 12 თებერვლით დათარიღებული სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა სკოლის შენობის (მის. ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი N90 ა) ტექნიკური მდგომარეობის შეფასების შესახებ, რომლის მიხედვითაც სკოლის ძირითადი სასწავლო კორპუსის (ნაკვეთური 1), სპორტული დარაბაზის (ნაკვეთური 2) და სააქტო დარბაზის (ნაკვეთური 3) შენობების ტექნიკური მდგომარობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა სეისმურ ნორმებთა შეუსაბამო. დაზიანებები ძირითადად გამოწვეულია ასაკობრივი ცვეთით, ექსპლუატაციის მანძილზე გადატანილი სხვადასხვა ინტენსივობის მიწისძვრებითა და ტექნიკური მოუვლელობით. ამ ეტაპზე შენობების ექსპლუატაცია შესაძლებელია, მაგრამ მათი შემდგომი ხანგრძლივი უსაფრთხო ექსპლუატაციისთვის საჭიროა გაძლიერებითი სამუშაოების ჩატარება, სპეციალურად დამუშავებული პროექტის მიხედვით, კვლევის ნაწილში მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

სკოლამ წარმოადგინა 2025 წლის 5 თებერვლით დათარიღებული სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.
სკოლამ ვიზიტისას წარმოადგინა 2025 წლის 5 თებერვლით დათარიღებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო უწყება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის მიწერილი წერილი, სადაც ითხოვს უწყების დახმარებას საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავებაში.
სკოლას დასკვნის ვიზიტის პერიოსში შესაბამისობის გეგმაში ჰქონდა შეტანილი აღნიშნული საკითხი და მოგვარებას გეგმავდა 15.06.2026-მდე.
არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ გამოაგზავნა დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებულია უფლებამოსილ უწყებასთან.

სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა: *სასურველია სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.*

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;**

დაწესებულებაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ინვენტარითა და მედიკამენტებით, თუმცა როგორც დათვალიერებით დადგინდა, კაბინეტში არ არის შირმა. სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექიმი/ექთანი. ექიმი აწარმოებს გაწეული სამედიცინო მომსახურების, სამედიცინო შემთხვევებისა, დახარჯული და ვადაგასული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვას. სკოლაში, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას უზრუნველყოფილია ექიმის ხელმისაწვდომობა.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად, გაწერილი აქვს შირმის შეძენის საკითხი.

სკოლას მიეცა **რეკომენდაცია,** უზრუნველყოს შირმის შეძენა შესაბამისობის გეგმით მითითებულ ვადებში.

რჩევა: დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა არის 2000. ხოლო საშტატო განრიგით დაწესებულებაში გათვალისწინებულია და დასაქმებულია მხოლოდ ერთი ექიმი. სასურველია სკოლამ გაითვალისწინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ და საშტატო განრიგით განსაზღვროს ექიმის ორი პოზიცია.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა უზრუნველყოფილია სკოლის შინაგანაწესით.

სკოლას ჰყავს, დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით შექმნილი კოლეგიური ორგანო-მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების განხილვასა და სკოლის დირექტორისათვის შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას. დამრიგებელი უზრუნველყოფს თავისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების გაცდენების კონტროლს და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

მოსწავლეთა ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნაზე მუშობენ დამრიგებლები. სკოლას ჰყავს სამი ფსიქოლოგი. რომლებიც ძირითადად მუშაობენ სსსმ მოსწავლეებთან, თუმცა საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ გაუწიონ ფსიქოლოგიური დახმარება/რეკომენდაცია ნებისმიერ მოსწავლეს და თანამშრომელს. ასევე სკოლის მანდატურის სამსახური, დაკვირვების შედეგად თუ გამოიკვეთა პრობლემა, მშობელს ეძლევა რეკომენდაცია და რეფერირდება მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგებთან.

სკოლის შენობაში, დერეფნებსა და საკლასო ოთახების ნაწილში განთავსებული იყო ხატები. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია მოსწავლის ძირითადი უფლებები და გარანტიები, მათ შორის რწმენის თავისუფლება (მუხლი 18). საჯარო სკოლაში საგანმანათლებლო სივრცე უნდა იყოს ნეიტრალური და არ უნდა ქმნიდეს კონკრეტული რელიგიური მიმართულების პრიორიტიზაციის შთაბეჭდილებას. შესაბამისად, საჯარო სკოლის ტერიტორიაზე რელიგიური სიმბოლოების განთავსება არ არის დაშვებული.

არგუმენტირებულ პოზიციაში 3.4.1.4 ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა ფოტო მასალა, რომლთაც დასტურდება, რომ სკოლის შენობაში, დერეფნებსა და საკლასო ოთახებში არ არის განთავსებული ხატები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის პროცესი შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები დამლაგებლებთან. სკოლას აქვს შენობის ინფრასტრუქტურაზე მორგებული დასუფთავებისა და გამართულობის შემოწმების გრაფიკი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის მიმდინარეობისას გაცემული რეკომენდაცია და ბრძანებით განსაზღვრა პერსონალურ მონაცემეთა დაცვის ოფიცერი. თუმცა, დასკვნის პროექტის ეტაპზე არ წარმოუდგენია ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული პროგრამები არის ლიცენზირებული. სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს გააჩნია ანტივირუსული პროგრამა/დამცავი ბარიერი. მუდმივად ახლდება პროგრამული უზრუნველყოფა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლის თანამშრომლებისა და მოსწავლეთა მშობლების ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა პერიოდულად აფასებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგილი მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტიანობას დაკვირვების საფუძველზე. თუმცა სკოლას არ წარმოუდგენია აღნიშნული შეფასების განხორციელების ფორმალიზებული და სისტემური მექანიზმები.

რჩევა: სასურველია სკოლამ გამოიყენოს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ინსტრუმენტები, ასევე დაკვირვების სტრუქტურირებული ფორმები და სხვა შესაბამისი მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს პროცესის უფრო სისტემურ და თანმიმდევრულ განხორციელებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ ბრძანება-2-505 (09/10/2025)
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები #1 და #2
- სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა
- ბრძანება N1 კ/25 პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის განსაზღვრის შესახებ,03/04/2026
- სადამრიგებლო პროგრამები
- უფლებამოსილ უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლა ოთხსართულიანია და აღჭურვილია საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. სკოლაში არის უწყვეტი წყალმომარაგება, სკოლა უზრუნველყოფილია დენით და ასევე ცენტრალური გათბობით-ბუნებრივ აირზე. სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორიები, რესურსოთახები, ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი, სკოლას აქვს ღია და დახურული სპორტული მოედანი. სასწავლო გარემო აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, მათ შორის ინდივიდუალური მერხებით, დაფებითა და კომპიუტერული ტექნიკით.

თუმცა, ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული რესურსისათვის განკუთვნილი ერთ-ერთი ოთახი დროებით არ ფუნქციონირებს ინფრასტრუქტურული პრობლემის გამო - კერძოდ, დაზიანებულია ჭერი, რის შედეგადაც სივრცის გამოყენება შეუძლებელია. სკოლის წარმომადგენელთა განმარტებით, აღნიშნულ საკითხზე უკვე მიმართეს შესაბამის პასუხისმგებელ სამსახურის და ელოდებიან რეაგირებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეებისა და მატერიალური რესურსის გამოყენების ფორმებისა და პროცედურების შესახებ ინფორმირებულები არიან სასკოლო საზოგადოების წევრები.

სკოლამ გაითვალისწინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტზე გაცემული რეკომენდაცია და ვიზიტის პერიოდში დაამტკიცა „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“, სადაც განსაზღვრულია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამოყენების პირობები და წესიც.

რჩევა: სასურველია, აღნიშნულ წესში დამატებით განისაზღვროს საერთო სარგებლობის სივრცეები გამოყენების განრიგი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება სკოლის ორცვლიანი მუშაობის პირობებში და ხელს შეუწყობს სივრცებიის უფრო ეფექტიან გამოყენებას სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლის მიერ შემუშავებული წესი არ ერგებოდა სკოლის პრაქტიკას. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია და თავისივე პრაქტიკას მოარგო ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომლის მიხედვითაც დარეგულირებულია ბიბლიოთეკაში არსებული მატერიალური თუ ელექტრონული რესურსების აღრიცხვა/დამუშავება, სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ საბიბლიოთეკო სერვისისა და მასში განთავსებული ლიტერატურის გამოყენების ხელმისაწვდომობა.

სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი და მასთან გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

დაწესებულებაში არის ადაპტირებული სველი წერტილი. თუმცა, არ არის შექმნილი ეტლით მოსარგებლე პირისათვის შენობაში სართულებზე გადაადგილების შესაძლებლობა. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან ბიბლიოთეკა, ტექნოლოგიების ოთახი და სხვა სასწავლო სივრცეები განთავსებულია სხვადასხვა სართულზე. შესაბამისად, სწავლის ინკლუზიური გარემო ხელმისაწვდომი არ არის.

სკოლას სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში წარმოდგენილი აქვს N 3.5.1.4 ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა.

რეკომენდაცია: სტანდარტთან სრულ შესაბამისობაში მოსაყვანად, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მითითებულ ვადებში (2028 წლის მაისი) უზრუნველყოფს სკოლის შენობაში ლიფტის ან პანდუსის დამონტაჟება.

ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა გაკვეთილების დასრულების შემდეგ ან დაწყებამდე სკოლაში ყოფნის, შეკრებისა და სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვისთვის დროისა და სივრცის გამოყენების. აღნიშნული დასტურდება როგორც სკოლის ინფრასტრუქტურის დათვალიერების შედეგებით, ისე მოსწავლეებთან და მშობლებთან ჩატარებული ფოკუსჯგუფების ანალიზით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა: ბიბლიოთეკის სამუშაო დრო ამჟამად სრულდება 16:30 საათზე, მაშინ როდესაც სასკოლო საგაკვეთილო პროცესი გრძელდება 17:35 საათამდე. სასურველია, რომ ბიბლიოთეკის მუშაობის საათები გაგრძელდეს სულ მცირე საგაკვეთილო პროცესის დასრულებამდე, რათა სასკოლო საზოგადოების წევრებს ჰქონდეთ მისი გამოყენების შესაძლებლობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ბიბლიოთეკის მუშაობის წესი*
- *შენობის ვიზუალური დათვალიერება*
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- ინვენტარიზაციის მასალები
- პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი - სკოლის დირექტორის ბრძანება *#2-231 (13.05.2026)*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესის სრულყოფილად წარმართვისთვის სკოლა აღჭურვილია სათანადო პარამეტრების მქონე საკმარისი რაოდენობის კომპიუტერებით. კომპიუტერები პროგრამულად გამართულია. კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამებს.

სკოლაში განთავსებულია 79 ლეპტოპი, 12 პროექტორი, 14 პრინტერი და 2 პერსონალური კომპიუტერი. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით: 4 პრინტერ-სკანერის აპარატით. სკოლის ტერიტორია დაფარულია ინტერნეტით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლამ გაითვალისწინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია და ვიზიტის პერიოდში დაამტკიცა „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“, სადაც განსაზღვრულია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამოყენების პირობები და წესიც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სასურველია, აღნიშნულ წესში დამატებით განისაზღვროს კომპიუტერული კლასის/ოთახის გამოყენების განრიგი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება სკოლის ორცვლიანი მუშაობის პირობებში და ხელს შეუწყობს სივრცის უფრო ეფექტიან გამოყენებას სასკოლო საზოგადოებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ტექნოლოგიებით სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის მასალები
- ტექნიკის მიღება-ჩაბარების აქტები
- ლაბორატორიებით სარგებლობის წესი
- ვიზუალური დათვალიერება

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლაში მოქმედი საქმისწარმოების წესი წარმოდგენილია, თუმცა ვიზიტის პერიოდში იგი სრულად არ შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობასა და სკოლის რეალურ პრაქტიკას. კერძოდ, დოკუმენტში არ იყო ასახული, რომ სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას, რაც კანონმდებლობის მოთხოვნაა და ფაქტობრივად ფუნქციონირებს დაწესებულებაში.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა საქმისწარმოების წესი, რომელიც 2026 წლის 13 მაისს (დირექტორის ბრძანება # 2 - 232) არის დამტკიცებული. აღნიშნული წესი კანონმდებლობის შესაბამისია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

დაწესებულება იყენებს საქმისწარმოების/დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას (Eflow), როგორც შიდა ისე გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის. დაწესებულება ასევე იყენებდეს მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორიცაა Google, Office 365.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადების დაცვით აქვს ასახული. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში და იგი სრულყოფილია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა უნდა თანამშრომლობდეს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ სტრუქტურებთან/დაწესებულებებთან. მაგალითად, დაცული აქვს წლიური ფინანსური ანგარიშების წარდგენის ვადები; თანამშრომლობს საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და სხვ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი
- სკოლის პროფილი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში
- საგანმანათლებლო უწყებებთან კორესპონდენციის ამსახველი მასალები

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით.**

დაწესებულების ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს, რადგან მასზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია და იძლევა დაწესებულებასთან ინტერნეტით კომუნიკაციის შესაძლებლობას. ვებგვერდზე და სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

დაწესებულება ავრცელებს სანდო და უტყუარ ინფორმაციას, მაგალითად, სკოლის ვებგვერდზე არსებული ინფორმაცია შეესაბამება რეალობას. ასევე სკოლის სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია დაწესებულების აქტივობების შესახებ არის უტყუარი, რაც დადასტურდა ექსერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუებითა და ვიზიტის პერიოდში ნანახი დოკუმენტაციით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

დაწესებულების წარმომადგენლების ინტერვიების შედეგად იკვეთება, რომ დაწესებულება საკომუნიკაციო არხებიდან, მათ შორის ოფიციალური სოციალური ქსელიდან შემოსულ ინფორმაციაზე, ხდებოდა სათანადო რეაგირება. იგივე დაადასტურეს მშობლებმაც ექსპერტებთან ფოკუსჯგუფში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია არის ქართულ ენაზე. სკოლა ქართულ ენაზე ახორციელებს საქმიანობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ვებგვერდზე განთავსებული აქვს შემდეგი ინფორმაცია: მისია; ხედვა; ღირებულებები; სტრუქტურა; პროგრამების სახელწოდებები; ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია; (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი); სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი

მოთხოვნები; მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები; ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლის ვებგვერდზე არ არის განთავსებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ანგარიშები. თუმცა ვინაიდან სკოლის პირველადი ავტორიზაციაა, ეს ვერ ჩაითვლება ხარვეზად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ გვერდი https://shorturl.at/p612P
- სკოლის ფეისბუქ გვერდი https://www.facebook.com/profile.php?id=100057229878932

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

დაწესებულებას სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს თითოეული აქტივობის შესაბამისი ფინანსური რესურსი, დაწესებულების საპროგნოზო ბიუჯეტით დასტურდება, რომ დაწესებულების, როგორც სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული, ისე მიმდინარე, საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია სათანადო ფინანსური რესურსით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

როგორც სკოლის ბუღალტერთან გასაუბრებითა და შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, დაგეგმვის პროცესი გამომდინარეობს სკოლის სამოქმედო ერთწლიანი გეგმიდან; დაგეგმვის პროცესში ჩართულები არიან სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები; ბიუჯეტირების პროცესი დინამიკურია. შესაძლებელია, საჭიროებიდან გამომდინარე, ცვლილებების შეტანა და ხელმეორედ დამტკიცება; დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია მონიტორინგის ფორმები და შეფასების ინდიკატორები. პერიოდულად, ტარდება ფინანსური ანალიზი.
ვინაიდან პირველადი ავტორიზაციია, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შეისწავლა დაწესებულება ყოველი წლის ბოლოს აკეთებს თუ არა სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბიუჯეტი

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

მოსწავლეთა უფლებები დაცულია სკოლის შინაგანაწესით, მოსწავლის ადაპტაციის წესითა და სხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი და მოსწავლეთა თვითმართველობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

სკოლის შინაგანაწესს დამრიგებლები პირველივე მშობელთა კრებაზე აცნობენ მშობლებს ასევე მოსწავლეებს. შინაგანაწესი და ქცევის წესები გამოკრულია სკოლის დერეფნებსა და საკლასო ოთახებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

სკოლას მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს კანონის შესაბამისი ხელშეკრულებები. მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ხელის მოწერით ადასტურებს შინაგანაწესისა და ხელშეკრულების პირობების გაცნობასა და თანხმობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.(ბრძანება 2-98)
- სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები.
- სკოლის შინაგანაწესი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში დეტალურადაა გაწერილი.(ბრძანება N2-98)

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლაში ეს პროცესები კანონის შესაბამისად ხორციელდება, რასაც ადასტურებს მოსწავლეთა პირადი საქმეების, შიდა დოკუმენტებისა და მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool შესწავლა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების, სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი სკოლის ფეისბუქ გვერდსა და სკოლის დერეფნებში განცხადებების დაფებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლა მუდმივად აახლებს თავის ფეისბუქ გვერდსა და ვებსაიტზე ინფორმაციას. ასევე, ინფორმაციებს აქტიურად აცნობს მშობელთა შიდა ჯგუფების ან სკოლის საინფორმაციო დაფებზე გამოკრული განცხადებების მეშვეობით. ეს ინფორმაცია კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.(ბრძანება 2-751)
- სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები.
- სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერება -აღდგენის და სასწავლო პროცესის რეგულაციების წესი (ბრძანება 2-98)
- სკოლის შინაგანაწესი.
- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- სკოლის ვებ-გვერდი და ფეისბუქ გვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას აქვს შემუშავებული მოსწავლის ადაპტაციის წესი. მოსწავლის ადაპტაციის პროცესში ჩართულია: დამრიგებელი, ადმინისტრაცია, მშობლები და მოსწავლეები. (საორიენტაციო ვიზიტი - სასწავლო პროცესის დაწყებამდე ან პირველივე დღეს უნდა მოხდეს სასკოლო გარემოს დათვალიერება, გაცნობა, მოსწავლისათვის საჭირო საორგანიზაციო საკითხების მიწოდება. დამრიგებლის როლი - იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ვერ ახერხებს წარმატებით ადაპტაციას, სწორედ კლასის დამრიგებელმა უნდა გამოიჩინოს ინიციატივა და წაახალისოს მოსწავლეები, დაამყარონ კომუნიკაცია კლასის ახალ წევრთან. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ჯგუფურ დავალებებს, თამაშებს და სხვა ისეთ აქტივობებს, სადაც წარმატების მისაღწევად აუცილებელია კოორდინირებული ქმედებები და ჯგუფის წევრებს შორის კომუნიკაცია.) ეს დასტურდება მშობლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუს შედეგადაც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

მოსწავლის ადაპტაციის პროცესში, დამრიგებელი თავდაპირველად შეისწავლის მოსწავლის პირად საქმეს და მშობელთან ზეპირი გასაუბრებით ეცნობა მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს და შესაბამისად გეგმავს პროცესებს. მოსწავლეთა დაახლოება ხდება კლასის საათზე გამართული საუბრებითა და თამაშებით, ექსკურსიებიც დიდ როლს ასრულებს. ამ პროცესში ჩართულია სრულიად სასკოლო საზოგადოება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლაში აქტიურად მუშაობს რემედიაციის პროგრამა. როგორც მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ მოსწავლის დასახმარებლად პროცესებში ჩართულნი არიან საგნის მასწავლებელი და დამრიგებელი, საჭიროების შემთხვევაში მშობელიც. მასწავლებლები სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ ურთიერთშეფასებას, თვითშეფასებასა და ზეპირ განმავითარებელ შეფასებებს. თუ მოსწავლეს ჯანმრთელობის გამო დიდხანს უწევს სკოლის გაცდება, უტარდება ონლაინ გაკვეთილები (გადაჰყავთ შინ სწავლებაზე).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლა გონივრულ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას მოსწავლეებს. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ესქულში განცხადებები და დროული რეაგირება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლა მუდმივად უჭერს მხარს მოსწავლეთა ინიციატივებს. მაგ: თვითმართველობის ინიციატივით სკოლაში გაიმართა "მხიარული სტარტები", მეათეკლასელთა ინიციატივით შეიქმნა კლუბი "გალაქტიკა" სადაც თავად მოსწავლეები გეგმავენ და ატარებენ შეხვედრებსა და კონფერენციებს. სკოლას განხორციელებული აქვს არაერთი საინტერესო პროექტი თუ აქტივობა სხვადასხვა საგნებში. ფუნქციონირებს კლუბები "ლიბერტა", "უხილავი ხელი". სკოლა ჩართულია "ფინედუსა" და "სკოლა-ბანკის"პროექტებში. ადმინისტრაცია წახალისების და მოტივაციის გაზრდის მიზნით სერტიფიკატებს გადასცემს დამატებით აქტივობებში ჩართულ მოსწავლეებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლა მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირს უმეტესად ზეპირი გზით, მშობელთა კრებებსა და შეხვედრებზე იღებს. მშობლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ყოფილა შემთხვევები, როდესაც მათ გამოუთქვამთ იდეები და მოსაზრებები და სკოლას გაუთვალისწინებია. ვიზიტის პერიოდში სკოლას კითხვარი ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი არ წარმოუდგენია.
თუმცა, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების უკუკავშირის მიღებისთვის შემუშავებული კითხვარები. შესაბამისად, მზაობა, რომ სკოლამ უკუკავშირის საფუძველზე გააუმჯობესოს მოსწავლეთა მომსახურება, დასტურდება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები
.

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (ბრძანება 2-98)
- სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები.
- სკოლის შინაგანაწესი.
- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- სკოლის შინაგანაწესი.
- სასკოლო კურიკულუმები.
- სკოლის ვებ-გვერდი და ფეისბუქ გვერდი.
- მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და სხვა თანამშრომლების უკუკავშირის მიღების მიზნით სკოლის მიერ შემუშავებული კითხვარები

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის
სადამრიგებლო საათის ფარგლებში მასწავლებელები ესაუბრებიან მოსწავლეებს სხვადასხვა პროფესიის შესახებ, ხშირად იწვევენ მშობლებს, რომლებიც აცნობენ ბავშვებს თავის სპეციალობას. სკოლას დაჰყავს მოსწავლეები ქარხნებში, კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში. განხორციელდა ვიზიტები კოლეჯ "იკარუსში", კოლეჯ "მერმისში", პროექტის ფარგლებში იყვნენ კოჯორში სამხედრო ბაზაზე, ასევე, სასაზღვრო დაცვის დეპარტამენტში.

რჩევა: პროცესი რომ უფრო მდგრადი და ხანგრძლივი იყოს, სასურველია, სკოლამ გააფორმოს მემორანდუმები პროფესიულ სასწავლებლებთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით
მოსწავლეებთან და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ გარდა სადამრიგებლო საათისა და კოლეჯებში ვიზიტებისა, სკოლაში ხშირად ატარებენ შეხვედრებს ამავე სკოლის კურსდამთავრებულები, რათა გააცნონ თანასკოლელებს მათი პროფესია.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

პირველად ავტორიზაციაზე ვერ შეფასდა.

რჩევა: სასურველია, წარმოდგენილი იყოს უკუკავშირის ფორმები-როგორ გააკეთებს სკოლა გაწეული მომსახურების შეფასებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ფეისბუქ გვერდი

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

ყოველი სასწავლოს წლის დასაწყისში სკოლა ქმნის მოსწავლეთა ისგ გეგმებს. ისგ შეხვედრები იმართება წელიწადში მინიმუმ 4 ჯერ (საჭიროების შემთხვევაში დამატებითაც). სკოლას ამ ეტაპზე ჰყავს 55 სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე. 7 სპეც მასწავლებელი, 3 ფსიქოლოგი და 30 პერსონალური ასისტენტი. სკოლას აქვს სასწავლო და ტექნიკური რესუსრებით აღჭურვილი 2 რესურს ოთახი. სკოლაში წარმოადგინეს ისგ გუნდის შექმნის ბრძანება, საგნობრივი გეგმები, გაკვეთილზე დაკვირვების ბლანკი,ტრანზიციის გეგმა,შესაბამისი დასკვნები.ასევე, ყოველი სემესტრის ბოლოს მოსწავლის მშობელს ეგზავნება წერილობითი რეკომენდაციები სპეცმასწავლებლისგან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სასკოლო საზოგადოება (სპეცმასწავლებელი, დამრიგებელი, საგნის მასწავლებელი) ჩართულია და აქტიურად ურთიერთთანამშრომლობენ მაქსიმალური შედეგების მისაღებად და მოსწავლისათვის მეგობრული გარემოს შესაქმნელად. მშობელი ყოველთვის საქმის კურსშია და იღებს საგნის მასწავლებლებისგან, დამრიგებლისგან და სპეც მასწავლებლისგან ინფორმაციებსა და რეკომენდაციებს. წარმოდგენილია ისგ ოქმები, სადაც ნათლად ჩანს ეს თანამშრომლობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია და წესი.
- ისგ ჯგუფის ოქმები.
- ისგ ჯგუფის ბრძანება.

- ინდ. გეგმები.
- ტრანზიციის გეგმა.
- გაკვეთილზე დაკვირვების ბლანკი.
- წერილობითი რეკომენდაცია მშობელს.
- მანდატურის სამსახურის დასკვნა.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, წრეობრივი მუშაობა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე, (ბრძანებაN 2-495)

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას.

სკოლა აქტიურად უზრუნველყოფს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების აქტივობების წახალისებას,ფუნქციონირებს წრეები: ფანდურის წრე, ხალხური სიმღერებისა და საკრავების წრე, გახანგრძლივებული სწავლება არის მხოლოდ პირველკლასელთათვის. წარმოდგენილია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები. ასევე, აქვთ კვების სერვისი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

სკოლაში ყველანაირი მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- გახანგრძლივებული სწავლების, კვებისა და წრეების ხელშეკრულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **დაწყებითი საფეხური**	**× შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	× შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	× შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	× შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	× შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საბაზო საფეხური**	**☐ შეესაბამება** **× მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	× შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება × მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	× შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4	× შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საშუალო საფეხური**	**☐ შეესაბამება** **× მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	× შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება × მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3	× შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	× შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა საზოგადოების ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობას.

რჩევა: წარმოდგენილი მეთოდოლოგია უფრო მეტად კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაა, ვიდრე შემუშავების. სასურველია, მეტი აქცენტი გაკეთდეს კონკრეტულად შემუშავების პროცესზე (უფრო დეტალურად იქნეს გაწერილი კურიკულუმის შემუშავება როგორ ხდება, ვინ არის ჩართული და როგორ)

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სკოლის კურიკულუმებში ასახულია სკოლის საზოგადოების ინტერესები. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმებს შეიმუშავებენ ერთობლივად,შედგენისას ითვალისწინებენ სკოლისა და მოსწავლეების თავისებურებებსა და საჭიროებებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მიერ შემუშავბეული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ კურიკულუმი მუშავდება კათედრებზე ერთობლივი მუშაობითა და წინა წლის გამოცდილებების გათვალისწინებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სასკოლო სასწავლო გეგმა განხილულია პედსაბჭოზე. მშობლებთან ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ დამრიგებლები პირველსავე მშობელთა კრებაზე აცნობენ მშობლებს საგნობრივ კურიკულუმებს. მშობლები ეცნობიან წლის განმავლობაში გასავლელ თემებსა და შეფასების კრიტერიუმებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- მშობელთა კრების ოქმი.
- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- პედსაბჭოს ოქმი.

2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლამ წარმოადგინა საბუნენისმეტყველო ყველა საგანში, სამივე საფეხურზე საჭირო კურიკულუმი კლასების მიხედვით. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ მის შედგენის პროცესში აქცენტი გაკეთებულია გრძელვადიან მიზნებზე, კერძოდ, სამიზნე ცნებებზე და საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგებზე. კურიკულუმს საფუძვლად უდევს ესგ- ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების გრძელვადიან მიზნებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ გააზრებული აქვთ და დაგეგმვისას საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვთ გრძელვადიანი მიზნები. კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. საფეხურის ყველა კლასში და ყველა საგანში, მოსწავლეებს სთავაზობენ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებს, რომელზე მუშაობაც მოითხოვს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას და როგორც საგნობრივი საკითხების, ასევე საგანთაშორისი კავშირების სიღრმისეულ გააზრებას და სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრვი მეცნიერებებში შემავალი საგნების: მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა და სამოქალაქო განათლება პროექტი, წარმოდგენილი კურიკულუმები, მოწოდებული დოკუმენტაცია შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს. სასკოლო სასწავლო გეგმის საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაში შემავალი საგნების კურკულუმები სრულად გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგემის შესაბამისად: კურიკულუმში მოცემულია ყველა სავალდებულო თემა და ყველა თემაში მუშავადება შესაბამისი საგნის ყველა სამიზნე ცნება. საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილია ქვეცნებები, საკითხთა ჩამონათვალი, შემოქმედებითი დავალება და შესაბამისი რესურსები. ვიზიტის შემდეგ ასევე გაგვიზიარეს მოსწავლეთა ნამუშევრები რომლებიც კურიკულუმებში მოცემული შინაარსის იდენტურია. სწორედ აქედან გამომდინარე ვასკვნი, რომ მოკლევადიანი, საშუალო ვადიანი და

	გრძელვადიანი მიზნები შესაბამისობაშია. სკოლის მიერ პირველადად წარმოდგენილი დოკუმენტაცია ასევე იძველა საფუძველს რომ სკოლა საკმაოდ დიდი ხანია მუშაობს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. რადგან სკოლის მიერ წარმოდგენილ მოსწავლეთა ნამუშევრებში იკვეთება საგანთა შორის კავშირებიც. რჩევა: სასურველია დაწყებით საფეხურზე მესამე კლასის საგან მე და საოზგადოებაში რომელიც ვიზიტის შემდეგ წარმოადგინეთ უკვე სამიზნე ცნებების შესაბამისი ქვეცნებებით, დაამატოთ სამიზნე ცნება ზრუნვა რომელიც პირვანდელ ვერსიაში იყო წარმოდგენილი. ასევე სასურველია საგან მოქალაქეობაში მე-7 კლასში კურიკულუმი გაასწოროთ ბოლომდე. სასურველია ,სკოლამ წარმოდგენილი მე-12 კლასის ისტორიისა და საქართველოს ისტორიის კურიკულუმი,რომელიც ერთ დოკუმენტადაა გაწერილი, დააცალკევოს და ცალ-ცალკე კურიკულუმად გაწეროს .
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასწავლებლებთან ინტერვიუ იძლევა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული იქნა მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები. გამომდინარე იქიდან, რომ უცხო ენების სწავლებისას მთავარი ორიენტირი არის ენობრივი უნარების განვითარება, ხოლო თემები/შინაარსები არის შესაძლებლობა ამ უნარების განვითარებისათვის, საგნობროვ სტანდარტში მოცემულია საორიენტაციო თემების ჩამონათვალი, რაც იძლევა არჩევანის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, მასწავლებლებმა თითო საფუხურსათუ საფეხურის შესაბამის კლასში გასავლელი თემების არჩევისას, გაითვალისწინეს თავინთი მოსწავლეების სურვილები და სახელმძღვანელოში მოცემული თემებიდან აიჩიეს მათთვის საინტერესო შინაარსები, რათა მეტად მოსწავლეზე ორიენტირებული და მამოტივირებელი გამხდარიყო სასწავლო პროცესი. გარდა ამისა, მასწავლებლება გაითვალისწინეს მოსწავლეთა ენობრივი შესაძლებლობები და შესაბამისად დაგეგმეს თითოეულ შერჩეულ თემაში გასავლელი/ჩასაშენებელი საგნობრივი საკითხები. კურიკულუმების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის განხორციელება მიმართულია ისეთ საკლასო გარემოზე და საგაკვეთილო პროცესზე, როდესაც საკვანძოდ მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე არის სწავლა-სწავლების ცენტრში და აქტიურადაა ჩართული პროცესში. შესაბამისად, შესაძლებელი ხდება სასწავლო პროცესი მეტად მოსწავლეზე იყოს ორიენტირებული. კურიკულუმშიმოცემული შუალედური მიზნები, საშუალებას მისცემს მოსწავლეს, რომ განიხილოს ახალი ინფორმაცია, გადაამუშაოს და განიხილოს იგი ახალ კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ ზეპირი სახით. ამასთან ერთად, მაგალითები კონტექსტისა თუ შედარებისათვის და შერჩეული რესურსები ვალიდურია, რაც დაეხმარება მოსწავლეებს შესადარებელი მაგალითების განხილვაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შესაძლებელია დასკვნის გაკეთება,

	რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ ინფორმაციის დამუშავების პორცესში მათი როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა დამოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ, სკოლის მიერ წამოდგენილ კურიკულუმებში განხილული/ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითებს ასახავს, რაც შესანიშნავი შესაძლებლობაა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის განხორციელებისათვის. კონკრეტულ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტილების მოძებნა. ამასთან ერთად, გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ საფეხურის ყველა კლასში და ყველა საგანში, მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომელზე მუშაობაც მოითხოვს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას და საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას. წარმოდგენილ საგნობრივ პროგრამებში იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ინდიკატორია.
ესთეტი კური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს და მიზნად ისახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას გრძელვადიანი საგანმანათლებლო მიზნების შესაბამისად. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ კურიკულუმი განიხილება როგორც ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვას მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესებისა და განვითარების თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხორციელდება თანმიმდევრული და მიზანმიმართული მიდგომი. შუალედური მიზნების შესაფასებლად გამოყენებული დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების ეტაპების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მათ აქტიურ ჩართულობასა და სწავლის პროცესში ინდივიდუალური პროგრესის მხარდაჭერას.

	სასწავლო პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შემოქმედებითი და მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებას, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას და სასწავლო პროცესის ეფექტიან წარმართვას. მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა სასკოლო და საგანმანათლებლო ღონისძიებაში, რაც დადებითად აისახება მათი შემოქმდებითი უნარებისა განვითარებასა და სასწავლო პროცესში ჩართულობაზე.
სახელმწიფო ენა	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების საფუძველს. იგი მოიცავს თემატურ ერთეულებს, სასწავლო აქტივობებს, შეფასების ფორმებსა და შესაბამის რესურსებს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. კურიკულუმში გამოყენებულია სხვადასხვა ტიპის აქტივობები და მიდგომები, რომლებიც გარკვეულად ითვალისწინებს მოსწავლეთა ჩართულობასა და აქტიურ მონაწილეობას სწავლების პროცესში. ამასთან, კურიკულუმი დაკავშირებულია სკოლაში არსებულ სხვა მარეგულირებელ და მხარდამჭერ დოკუმენტებთან, როგორიცაა სასწავლო გეგმა, შეფასების სქემები და რუბრიკები, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, ვერიფიკაციის დებულება, პედაგოგიური საბჭოსა და კათედრის ოქმები. აღნიშნული დოკუმენტები ქმნის ერთიან ჩარჩოს, რომლებიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის დაგეგმვას, განხორციელებასა და გარკვეულ დონეზე მონიტორინგს. საერთო ჯამში, კურიკულუმი იძლევა შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესი ეტაპობრივად დაიგეგმოს და განხორციელდეს ყველა საფეხურზე და უზრუნველყოს მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენება.
მათემატიკა	სკოლის მათემატიკის კურიკულუმები I-XII კლასებისთვის ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის სამიზნე ცნებების სტრუქტურას და ყველა საფეხურზე ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის მცდელობა. I-III კლასებში გამოყენებულია "მე მიყვარს მათემატიკა" სახელმძღვანელოს კონტექსტები, IV კლასში შემუშავებულია კომპლექსური დავალება "ყვავილების ორანჟერეა", რომელიც მოსწავლის ყოველდღიური გამოცდილებიდან გამომდინარეობს და საკვანძო კითხვებს ანვითარებს. VIII კლასის კურიკულუმში ძირითადი სვეტები კარგადაა შევსებული - ყოველ თემას ახლავს საკვანძო კითხვები, რომლებიც მოსწავლის აზროვნებას უწყობს ხელს. თუმცა სხვა კლასების კურიკულუმებში "შემოქმედებითი/კომპლექსური დავალების იდეის" სვეტი ძირითადად ცარიელია, ან შეტანილია 1-2 დავალება. შესაბამისად, ამ კლასებში მოსწავლეებს ნაკლებად ეძლევათ თვითგამოხატვის, ინიციატივის ან გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ კურიკულუმები ასევე

	განსხვავდება ტექნიკური გაფორმებითაც - ცხრილების დიზაინი, შრიფტის ზომა და ტექსტური სტილი არათანმიმდევრულია სხვადასხვა კლასს შორის. ეს არამარტო ვიზუალური საკითხია - ტექნიკურად გამართული და ერთგვაროვანი დოკუმენტი გაცილებით მარტივად გამოსაყენებელია პრაქტიკაში და იძლევა უფრო მეტ გარანტიას, რომ მასწავლებელი მას რეალურად მიმართავს სასწავლო პროცესის დაგეგმვისას. **რჩევა:** სასურველია სამივე საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმებში დაემატოს სკოლის რეალურ გარემოზე მორგებული, პრაქტიკული დავალებები. სასურველია, რომ დავალებები დაეფუძნოს მოსწავლეთა რეალურ სიტუაციებს - მაგ. ქალაქ თბილისის გარემოს, ბიუჯეტის დაგეგმვას, ან სტატისტიკური მონაცემების ანალიზს და ა.შ. გარდა ამისა, სასურელია **ტექნიკური ერთიანობის უზრუნველყოფა**: დაინერგოს სამივე საფეხურზე საერთო სტანდარტი კურიკულუმებში სვეტების სათაურებისთვის, ცხრილების ფორმატისთვის და ტექსტის სიდიდისთვის. ერთნაირი შაბლონი დოკუმენტს უფრო გასაგებს და გამოსაყენებელს გახდის.
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე. კურიკულუმის ფორმა ისე არის დაგეგმილი, რომ გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწიებილი სტანდარტის მოთხოვნები და პრინციპები. კურიკულუმში გაწერილი თემები მორგებულია სკოლაში არსებულ მატერიალურ ბაზასა და ინვენტარს, რასაც ადასტურებენ ინტერვიუს მსვლელობის დროს სკოლის პედაგოგები. სკოლის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შედგენის დროს გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები, შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებანი.
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმებში ჩანს რომ შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**.** კურიკულუმები ორიენტირებული სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია შუალედური დავალებები, რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ტრანსფერს, სააზროვნო უნარების განვითარებას, ცოდნის გამთლიანებას, ორგანიზებასა და ურთიერთადაკავშირებას კომპლექსურ პროდუქტის შექმნისას. გამოკვეთილია სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საგნობრივი საკითხების, შუალედური დავალებების ერთმანეთთან

	ურთიერთმიმართება და კოლერაცია. სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში გამოიკვეთა, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების განხილვისა და მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ყველა საგნის კურიკულუმში (I – IV კლ.) მოცემულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები/ქვესაკითხები, გრძელვადიანი მიზნები.კურიკულუმი შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზას შუალედური მიზნებით სასწავლო წლის განმავლობაში, მათში გაწერილია თემის შესაბამისი შემოქმედებითი ტიპის დავალები. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს ისაუბრეს კიდევ ბევრი აქტივობის შესახებ, რომლებიც სრულად შეესაბამება ესგ-ს ინდიკატორებს. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შედეგები, სამიზნე ცნებები, მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. წარმოდგენილ მასალაში, ასევე ინტერვიუში, ნათლად იკვეთება რას და როგორ იყენებს მასწავლებელი სასწავლო მიზნების მისაღწევად, ასევე შეფასების რომელ ინსტრუმენტებს იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას .კურიკულუმი მიემართება გრძელვადიანი მიზნებისკენ.

	კურიკულუმში გაწერილი შუალედური მიზნები იძლევა შესაძლებლობას შემოქმედებითი პროდუქტების შექმნის. სკოლამ ვიზიტის შემდეგ წარმოადგინა დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია, მაგალითად: მოქალაქეობის საგანში შემოქმედებითი დავალების საფუძველზე შექმნილი პროდუქტები ანიმაცია დაუნის სინდრომის თემაზე. ასევე შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები და მოსწავლეთა ნამუშევრები წარმოადგინეს ისტორიისა და გეოგრაფიის საგნებში. შესაბამისი შეფასების რუბრიკებით, რომელმაც კიდევ უფრო ცხადყო თუ როგორ ახერხებს მასწავლებელი მოკლევადიანი, საშუალო ვადიანი და გრძელვადიანი მიზნების დაკავშირებას.
უცხოური ენები	კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზმა და მასწავლებლებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ შემუშავებული სასწავლო პროგრამა შინაარსობივად და ტექნიკურად შესაბამისობაშია ერონული სასწავლო გეგმითა და საგნის სტანდარტით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებთან, მიზნებთან და საკითხებთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი უცხოური ენების კურუკულუმებით დგინდება, რომ ისინი შექმნილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით დაშედეგები განისაზღვრება საფეხურის სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და შექმნილია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებულიმოცემულობის შესაბამისად. ამას გარდა, იკვეთება, რომ ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები და კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიცის განვითარების სტრატეგიები. უმეტეს შემთხვევებში, სრულყოფილადაა აღწერილი ცნებების, ქვეცნებებისა და ქვესაკითხების ჩამონათვალი, თუმცა არის მცირე უზუსტობებიც, რაზეც დეტალურადისაუბრესინტერვიუს დროს მასწავლებლებმა და გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ საგნობრივი შინაარსები და შეუძლიათ სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღწერა. უცხოური ენების მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ დაგეგმილი კურიკულუმით ხელი შეუწყონ მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარებას და ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესის წარმოებას. წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახული შუალედური სასწავლო მიზნები და გრძელვადიანი მიზნები იძლევა შესაძლებლობას, რომ პროცესიორიენტირებული იყოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

	დაგეგმილ სასწავლო გარემოზე. კერძოდ, საგნობრივ პროგრამებშიწარმოდგენილ ძირითად საკითხებზე მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს ისეთი ტიპის შეკითხვებზე დაფიქრებას და ისეთი კოგნიტური ოპერაციებისშესრულებას, რომლებიც მიემართება ყველა ფუნქციურ-კომპონენტური უნარის გააქტიურებას. აღნიშნულზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შედეგები, სამიზნე ცნებები, მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად. მათ აქვთ მზაობა, რომ გლობალური ფუნქციური უნარები განიხილონ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად (და არა სასწავლო მიზნებად); წარმოდგენილი კურიკულუმების გაანალიზებისას და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს აქვთ საკმარისი გამოცდილება და მზაობა, რომ მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის საგნობრივი საკითხები, დავალებები, თემები, ძირითადი/დამატებითი რესურსები და შეფასების ინსტრუმენტები, რაც დაეხმარება მათ პიროვნული განვითარებისთვის/ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად.
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სამივე საფეხურის კურიკულუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და უზრუნველყოფს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეფუძნება სამიზნე ცნებებს და მიმართულია მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ, ამასთან ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და განვითარების ეტაპებს. კურიკულუმით გათვალისწინებული შემოქმედებითი დავალებები ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას. მათი შესრულების პროცესში მოსწავლეები გეგმავენ საქმიანობას, თანამშრომლობენ, აკეთებენ დასკვნებს და ახორციელებენ რეფლექსიას, რაც ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, თანამშრომლობისა და პასუხისმგებლობის განვითარებას. თუმცა, ანალიზმა აჩვენა, რომ რიგ შემთხვევაში კურიკულუმებში სამიზნე ცნებები და შესაბამისი ქვეცნებები სრულად არ არის ასახული, მიუხედავად იმისა, რომ ისინი რეალურად მუშავდება სასწავლო პროცესში. ასევე საკითხების ნაცვლად კურიკულუმებში წარმოდგენილია პარაგრაფების ჩამონათვალი, რაც საჭიროებს შესწორებას.

	რჩევა: სასურველია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში თემების ფარგლებში საკითხების ფორმულირება უფრო შინაარსობრივად და არა მხოლოდ პარაგრაფების ჩამონათვალის სახით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უკეთ დაგეგმვასა და სასწავლო მიზნებთან შესაბამისობის მკაფიოდ წარმოჩენას. მაგალითად, I კლასის პირველ თემაში საკითხის გრაფაში მიზანშეწონილია ჩაიწეროს ასეთი ფორმულირება: „ნამუშევარში საკუთარი ემოციების, შთაბეჭდილებებისა და განწყობის გადმოცემა“. ასევე, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში საჭიროებს დაზუსტებას იმ სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების მითითება, რომლებიც რეალურად მუშავდება თემების ფარგლებში, თუმცა კურიკულუმში სრულად არ არის ასახული: I კლასი – I, II, III და V თემებში მიეთითოს სამიზნე ცნება „სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები“; II და V თემებში - „სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები“. II კლასი – I, II, IV და V თემებში მიეთითოს სამიზნე ცნება „სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები“. III კლასი – დაკონკრეტდეს ქვეცნებები. IV კლასი – I და II თემებში მიეთითოს „სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები“; II თემაში – „სახვითი ხელოვნების ტექნიკა“; III, IV და V თემებში – „სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები“. V–VI კლასები – დაკონკრეტდეს ქვეცნებები და მიეთითოს მხოლოდ ის ქვეცნებები, რომლებიც უშუალოდ მუშავდება თემის ფარგლებში. საბაზო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმში სასურველია გამოიყოს თემატური ბლოკები, დაკონკრეტდეს ქვეცნებები და მიერთითოს მხოლოდ ის ქვეცნებები, როემლიც უშუალოდ მუშავდება თემის ფარგლებში. VIII კლასი – I თემაში მიეთითოს დარგი; II, III და IV თემებში – „სახვითი ხელოვნების ტექნიკა“. IX კლასი – I თემაში მიეთითოს სამიზნე ცნება: „სხვადასხვა ეპოქის/კულტურის/მიმდინარეობის/სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები და მხატვრული მახასიათებლები“.

სახელმწიფო ენა	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და ასახავს მის ძირითად მოთხოვნებს. დოკუმენტში წარმოდგენილია თემატური ერთეულები, სამიზნე ცნებები და შედეგებთან დაკავშირებული აქტივობები, რაც უზრუნველყოფს სწავლების შინაარსის შესაბამისობას ეროვნული სტანდარტების მიმართ. თითოეული თემისა და ქვეთემის ფარგლებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, აქტივობები და რესურსები, რაც ხელს უწყობს სასწავლო შედეგების ეტაპობრივ მიღწევას. კურიკულუმში მკაფიოდ იკვეთება კავშირი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებთან, რაც გამოიხატება შედეგებზე ორიენტირებული დაგეგმვით, შესაბამისი აქტივობებისა და დავალებების შერჩევით, ასევე შეფასების სქემებისა და რუბრიკების გამოყენებით. აღნიშნული კავშირი გამყარებულია სასწავლო გეგმით, შეფასების სისტემითა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტებით, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის თანმიმდევრულობასა და მიზნობრიობას ყველა საფეხურზე.
მათემატიკა	სკოლის მათემატიკის კურიკულუმები I-XII კლასებისთვის სტრუქტურულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიერ განსაზღვრულ შინაარსობრივ კატეგორიებსა და სამიზნე ცნებებს. I-III კლასებში "მე მიყვარს მათემატიკა" სახელმძღვანელოს გვერდების მიხედვით ნათლად ჩანს ეროვნული სასწავლო გეგმის კომპონენტებთან შესაბამისობა. IV-VI კლასებში გამოიყენება ბექაური-საგინაშვილის სახელმძღვანელო, VII-XII კლასებში კი ბექაური-საგინაშვილი და გოგიშვილი-ვეფხვაძე - ორივე გრიფირებული სახელმძღვანელოა. საფეხურიდან საფეხურამდე თემები თანმიმდევრულად რთულდება: დაწყებითში რიცხვები და გეომეტრიის საფუძვლები, საბაზოში ალგებრა და ფუნქციები, საშუალოში ანალიზური გეომეტრია, ტრიგონომეტრია და კომბინატორიკა. **რჩევა:** XII კლასის კურიკულუმი მითითებულია 2023-2024 სასწავლო წლით, ხოლო დანარჩენი კლასების კურიკულუმები 2025-2026 წელს ეხება. მიზანშეწონილია XII კლასის კურიკულუმი განახლდეს მიმდინარე სასწავლო წლის შესაბამისად, ასევე აუცილებელია სკოლის ადმინისტრაციამ პერიოდულად გადაამოწმოს, რამდენად შეესაბამება სასწავლო პროცესი კურიკულუმში დაგეგმილს, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტის პრაქტიკულ გამოყენებას.
სპორტი	წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისაკენ (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი)

	(გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), სამიზნე ცნებები და შედეგები); სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები.
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში მუშავდება სტანდარტით გათვალისწინებული საგნობრივი მიმართულებები (კომპიუტერული ტექნოლოგიები, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ციფრული წიგნიერება) და ასევე, ყველა სამიზნე ცნება. მასწავლებლებს გააზრებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, საგნის სწავლების მიზანი. შუალედური დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებს. წარმოდგენილია ორიგინალური დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. მასწავლებლები შუალედური დავალებების დაგეგმვისას ითვალისწინებენ სამიზნე ცნებებსა, რაც ხელს უწყობს მოსწავლეს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრას მიუდგეს შემოქმედებითად.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, ორიენტირებულია მოსწავლეზე. განსაზღვრული აქტივობები საშუალებას იძლევა მოსწავლემ საკუთარ გამოცდილებაზე ააგოს ახალი ცოდნა და უნარები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში არ არის გამართული ლაბორატორიები ქიმიისა და ფიზიკის და ბიოლოგიის მიმართულებით, სადაც შესაძლებელი იქნება თუნდაც უმარტივესი ექსპერიმენტალური,

	კვლევითი ტიპის დავალების უსაფრთხოდ შესრულება. არ არსებობს რეაქტივების შესანახი სივრცე, ონკანი და ნიჟარა ჭურჭელის გასარეცხად. წარმოდგენილი კურიკულუმებიდან დგინდება, რომ ძირითად რესურსად კათედრა იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოს და მრავალფეროვან ონლაინ რესურსებს, რომლებიც ჰიპერბმულებით არის წარმოდგენილი. დამხმარე რესურსების რელევანტურობა და ვალიდურობა განხილულია კათედრის სხდომაზე. მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე გასაგები ხდება, რომ ატარებენ კვლევითი ტიპის დავალებებს, მხოლოდ საშინაო ექსპერიმენტის სახით ან თეორიული კვლევის სახით.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	ძირითად საგანმანათლებლო რესურსად კათედრას არჩეული აქვს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით დავასკვენი, რომ ასევე პედაგოგები იყენებენ მრავალფეროვან ინტერნეტ საგანმანათლებლო რესურსებს, აუდიო და ვიდეო მასალებს. აღნიშნული ინდიკატორი სამივე საფეხურის ფარგლებში შესაბამისობაშია.
უცხოური ენები	წარმოდგენილი კურიკულუმებიდან დგინდება, რომ ძირითად რესურსად კათედრა იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოს რომელსაც აქვს სამუშაო რვეული, აუდიო ჩანაწერები, პოსტერები, ქარდები, რაც იძლევა საგნის სტანდარტით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის შესაძლებლობას. გარდა ძირითადი რესურებისა, კურიკულუმებში მოცემულია დამხმარე ელექტრონული რესურსები, რაც შერჩეულია ეფექტურად და დანამდვილებით დაეხმარება მოსწავლეებს განსაზღვრული შედეგების მიღწევაში.
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსები შერჩეულია მიზნობრივად და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. პედაგოგები ძირითად რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ხოლო დამატებით მითითებულია სხვადასხვა ელექტრონული რესურსი და დამხმარე მასალა, რაც ხელს უწყობს აქტიურ და ჩართულობაზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს და უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების ეფექტიან მიღწევას.

	რჩევა: სასურველია, მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ყველა კლასის კურიკულუმის თითოეულ თემაში უფრო სრულად იყოს წარმოდგენილი ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები, რომლებიც რეალურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. ასევე, მიზანშეწონილია, მუსიკის კურიკულუმებში სამინისტროს მიერ შეთავაზებული რესურსები არა მხოლოდ ზოგადი ფორმით იყოს მითითებული, არამედ დაემატოს შესაბამისი მოსასმენი მასალის კონკრეტული ბმულები. სასურველია ბმულების პერიოდული გადამოწმება და განახლება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი ტექნიკური გამართულობა და ხელმისაწვდომობა.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები, ქმნის საფუძველს მოსწავლის მიერ დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევისათვის. დოკუმენტში წარმოდგენილია როგორც ძირითადი, ისე დამხმარე რესურსები (სახელმძღვანელოები, დამატებითი მასალები, ელექტრონული რესურსები), რომლებიც შეესაბამება თემატურ ერთეულებსა და სასწავლო მიზნებს. რესურსების შერჩევა დაკავშირებულია დაგეგმილ აქტივობებთან და შეფასების ფორმებთან, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მოსწავლეთა ჩართულობას. ასევე გამოყენებულია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო მასალა, რაც შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს იმუშაონ სხვადასხვა ტიპის დავალებაზე და ეტაპობრივად მიაღწიონ განსაზღვრულ შედეგებს. აღნიშნული რესურსები დაკავშირებულია სასწავლო გეგმასთან, შეფასების სქემებთან და სხვა მხარდამჭერ დოკუმენტებთან, რაც უზრუნველყოფს მათი გამოყენების თანმიმდევრულობასა და სასწავლო პროცესის ეფექტიან წარმართვას ყველა საფეხურზე.
მათემატიკა	**I–III კლასების** კურიკულუმებში სასწავლო რესურსების სვეტი კარგადაა შევსებული: მითითებულია სახელმძღვანელოს და სამუშაო რვეულის კონკრეტული გვერდები. ასევე, ნახსენებია მანიპულატივები, **G-PRIED**-ის სასწავლო მასალები, პლაკატები და სხვა ვიზუალური საშუალებები. **IV**

	კლასში მითითებულია „ტელესკოლის“ გაკვეთილები და ციფრული კონტენტი, ხოლო **V–VI კლასებში** ჩამოთვლილია სახელმძღვანელოს გვერდები, დაფა, ცარცი და ტესტები. **VII–IX კლასებში** სასწავლო რესურსები ზოგადია: „სახელმძღვანელო, რვეული, კალამი, დაფა, ცარცი“. აქ არ ჩანს ციფრული პლატფორმები (**Khan Academy, GeoGebra, YouTube** და სხვ.). ამ პლატფორმების მითითება არც **X–XII კლასებში** გვხვდება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საშუალო საფეხურზე, სადაც ციფრული ინსტრუმენტები სასწავლო შედეგების მიღწევას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს. **რჩევა:** სასურველია **VII–XII კლასების** კურიკულუმებში ციფრული სასწავლო რესურსების (**Khan Academy, GeoGebra,** „ტელესკოლა“, **YouTube**-ის ვიდეოგაკვეთილები, **El.ge**) ჩართვა კონკრეტული თემების მიხედვით. ეს განსაკუთრებით სასარგებლო იქნება ალგებრის, ტრიგონომეტრიისა და სტატისტიკის სასწავლო შედეგების მისაღწევად. სასურველია რესურსების მითითების ერთიანი სტილის ჩამოყალიბება სამივე საფეხურზე, დაკონკრეტდეს თემა-საკითხის მიხედვით (მაგ. შესაძლოა ყველა რესურს გაუკეთდეს მსგავსი აღწერა: „ხანის აკადემიის ვიდეო: URL მისამართი; თემა: სამკუთხედების მსგავსება)
სპორტი	კურიკულუმებში გაწერილი როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები და მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები/ფესტივალები/პრეზენტაციები - (მძლეოსნობა, ფრენბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, ლაშქრობა და პროექტული სწავლება, მოძრავი თამაშები სპორტის სათამაშო სახეობების ელემენტების გამოყენებით), რომელშიც ჩართულია ყველა მოსწავლე, რასაც ადასტურებენ მასწავლებლები ინტერვიუს მსვლელობის დროს - იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანს, თითოეულ ბავშვს აქვს შემოქმედებით პოცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა საკუთარი შესაძლებლობების, ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტი კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. ფიზიკური აღზრდისა და

	სპორტის სკოლის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს ცოდნის სამივე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კატეგორიის წარმოდგენას. კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეები ცოდნის ორიენტირებას მარტივიდან რთულისაკენ.
ტექნოლოგიები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები (school.emis.ge, Scratch. mit.edu, 3DPaint, ,,ვსწავლოთ თამაშით", Powerpoint, Word, Excel, და სხვა) უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სკოლას აქვს კარგად ორგანიზებული კომპიუტერული ლაბორატორია, რაც იძლევა იმის საშუალებას რომ კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები სრულფასოვნად გამოიყენონ მასწავლებლებმა.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია, როგორც ძირითადი რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ასევე მრავალფეროვანი ელექტრონული თუ ბეჭდური რესურსი, რომლებიც სრულად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლამ წარმოდგინა დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ოთხივე საბუნებისმეტყველო საგანში, სადაც ჩანს დავალებების მოდიფიცირება და მორგება მოსწავლის საჭიროებაზე. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს კი ნათლად ისაუბრეს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მეთოდებზე. აღწერეს აქტივობები. ინტერვიუს დროს და წარმოდგენილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ნათლად ჩანს, რომ პედაგოგები კარგად იცნობენ დიფერენცირებულ მიდგომებს, ხშირად გეგმავენ და იყენებენ დიფერენცირების სტრატეგიებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა მზაობას, ინტერესს ან სწავლის პროფილს. დიფერენცირებისთვის გეგმავენ სხვადასხვა აქტივობებს მოსწავლეთა მზაობის გათვალისწინებით.

	საერთო შეფასებით, საბუნებისმეტყველო კათედრის წევრ მასწავლებლებს შეუძლიათ მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა გამოკვეთოს სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორები და მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესებისა და გამოცდილების გათვალისწინებით დაგეგმონ შესაბამისი დიფერენცირებული სასწავლო პროცესი.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას პირველ ეტაპზეც გაზიარებული ჰქონდა ისგ-ე გეგმები, რომლებშიც შესაძლებელი ხდებოდა მოსწავლის იდენტიფიცირება, სკოლაში ვიზიტის დროს მ ასწავლებლებთან გასაუბრებიდან გავიგე რომ ისინი არ ფლობდნენ ინფორმაციას მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვით რომ უნდა შეევსოთ ისგ-ე გეგმები. ამის შემდეგ სკოლამ აბსოლუტურად ყველა ისგ-ე გეგმის გასწორებული ვარიანტი გამიზიარა. ასევე გაზიარებული იყო ცალკეული მოსწავლის ნაშრომებიც. სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა შემოქმედებითი დავალების ნიმუშები და შეფასების რუბრიკები, მოსწავლეთა ნამუშევრები, რომლებიც ით ვალისწინებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში მათი ინტელექტულაური თუ გონებრივი ინდივიდუალიზმის მიუხედავად.
უცხოური ენები	წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახული გრძელვადიანი და შუალედური სასწავლო მიზნები, თემები, საგნობრივი საკითხები და შესაბამისი კომპლექსური დავალებები იძლევაშესაძლებლობას, რომ პროცესი იყოს ორიენტირებული დიფერენცირებულ და პოზიტიურ სასწავლოგარემოზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომშემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარეა დაგეგმილი. ცხადია, რომ თითოეული მოსწავლეგანიხილება როგორც უნიკალური ინდივიდი თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადიინტერესებით. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები იცნობენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლის წინარე ცოდნას, შესაძლებლობებს, ინტერესებს და მიყვებიან განვითარების დინამიკას. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის მიდგომის მნიშვნელოვანი მახასიათებლები. კერძოდ, მათ იციან, რომრომ ეროვნული სასწავლო გეგმა მოსწავლეს აძლევს საკუთარი სწავლის პროცესის წარმართვის საშუალებას, რისთვისაც საუკეთესო ინსტრუმენტია კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაცმოსწავლის ავტონომიურობა, მისი წინარე

	გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია. ასევეგამოიკვეთა, რომ ამ მიმართულებით მათთვის მნიშვნელოვანია კომპეტენციებზე დაფუძნებული პროგრესი და მოსწავლეთა საჭიროებების უწყვეტი მონიტორინგი. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა, რომ მოახდინონ თემატური მატრიცების საჭიროებისამებრ ადაპტირება. საერთო შეფასებით, კათედრის წევრ მასწავლებლებს შეუძლიათ მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა გამოკვეთოს სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორები და მოსწავლეთა ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინებით დაგეგმონ შესაბამისი დიფერენცირებული სასწავლო პროცესი
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესში ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინება განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმით და წარმოადგენს სწავლა-სწავლების ორგანიზების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს. დოკუმენტში წარმოდგენილია მიდგომები, რომლებიც უზრუნველყოფს სხვადასხვა შესაძლებლობისა და საჭიროების მქონე მოსწავლეთა ჩართულობას. დოკუმენტაციის ანალიზის ა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დგინდება, რომ სკოლაში დანერგილია ინკლუზიური სწავლების პრაქტიკა - სკლას ჰყავს სპეც. მასწავლებელები, საჭიროების შემთხვევაში მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (ისგ), რაც უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა სასწავლო პროცესში სრულფასოვან ჩართულობასა და მათი ინდივიდუალური პროგრესის მხარდაჭერას. სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი აქტივობები, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა დონისა და შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიდგომები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მოქნილობას და ქმნის პირობებს, რომ სწავლება მორგებული იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს, ინტერესებსა და განვითარების დონეს. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს დიფერენცირებული სწავლების განხორციელებას და ინკლუზიური გარემოს შექმნას, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლისთვის ხელმისაწვდომ და შედეგზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს.

სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი ასახავს ინკლუზიური განათლების პრინციპებს. სკოლაში წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტაცია (სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სამოქმედო გეგმები, ანგარიშები, რესურსები და ოქმები), რაც მიუთითებს, რომ სსსმ მოსწავლეთა საჭიროებები გათვალისწინებულია და მათთვის შექმნილია შესაბამისი მხარდაჭერის მექანიზმები. დიფერენცირებული მიდგომები ნაწილობრივ იკვეთება სასწავლო პროცესში, ძირითადად აქტივობების მრავალფეროვნების დონეზე, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას. თუმცა აქტივობების ფარგლებში დიფერენცირებული მიდგომები ნაკლებად არის გამოხატული და უფრო ერთგვაროვანი ხასიათისაა. საერთო ჯამში, სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია ინკლუზიური გარემოს არსებობა, ხოლო დიფერენცირება უფრო მეტად ვლინდება დავალებების ფორმატში, ვიდრე აქტივობების მრავალფეროვნებაში ან დავალებების შინაარსობრივ განსხვავებაში. რჩევა: სასურველია, დიფერენცირებული მიდგომების უფრო მიზნობრივი და სისტემური დანერგვა, განსაკუთრებით დავალებების დონეზე. სასურველია, რომ ერთსა და იმავე თემაზე მოსწავლეებს მიეცეთ განსხვავებული სირთულის, ფორმატის ან მხარდაჭერის მქონე დავალებები, რაც უკეთ გაითვალისწინებს მათი ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. კონკრეტულად, შესაძლებელია: • ერთი დავალების რამდენიმე ვარიანტის შეთავაზება (მარტივი, საშუალო, რთული); • არჩევითი დავალებების გამოყენება, სადაც მოსწავლე თავად ირჩევს მისთვის შესაფერის ფორმატს (ტექსტი, პრეზენტაცია, პროექტი და სხვ.); • დამატებითი დამხმარე მასალების (სქემები, მინიშნებები, მაგალითები) შეთავაზება იმ მოსწავლეებისთვის, ვისაც მეტი მხარდაჭერა სჭირდება; • მაღალი მიღწევის მოსწავლეებისთვის გაფართოებული ან შემოქმედებითი ტიპის დავალებების ჩართვა;

	ასევე სასურველია, დიფერენცირება აისახოს წინასწარ დაგეგმვაში (კურიკულუმისა და გაკვეთილის გეგმებში) და არა მხოლოდ პროცესის მიმდინარეობისას. ეს ხელს შეუწყობს თითოეული მოსწავლის აქტიურ ჩართულობასა და პროგრესზე ორიენტირებულ პროცესს.
მათემატიკა	წარმოდგენილ მათემატიკის კურიკულუმებში სამივე საფეხურზე ინკლუზიური სწავლებისა და დიფერენცირებული მიდგომების შესახებ პირდაპირი მითითება არ მოიძიება, თუმცა სკოლაში არსებობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ასევე VIII კლასის კურიკულუმში "გონებრივი იერიში" და "თანამშრომლობითი მეთოდი" ნახსენებია, თუმცა ეს ზოგადი მიდგომებია და სპეციფიკურ სასწავლო საჭიროებებზე პასუხი არ არის. **რჩევა:** სასურველია სკოლამ უზრუნველყოს, რომ საგნობრივი კურიკულუმი და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ერთმანეთთან შეთანხმებული იყოს და მასწავლებლებს ჰქონდეთ სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის კონკრეტული სტრატეგიები.
სპორტი	სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში სასწავლო პროცესის დიფერენცირებულ და ინკლუზიურ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიდგომებს, რასაც ადასტურებენ სკოლის პედაგოგები იტერვიუს მსვლელობის დროს. საჭიროების შემთხვევაში სკოლა გამოხატავს მზაობას სსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებასა და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგებისათვის, რაც ჩაშენებულ იქნება კომპლექსურ დავალებებში, სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალში მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეების მაქსიმალურ ჩართვას სასწავლო პროცესში.
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს , რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო მასაა, შეთავაზებულია მრავალფეროვანი ელ. რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. მასწავლებლებს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო,

	მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სადაც ჩანს დავალებების მოდიფიცირება და მორგება მოსწავლის საჭიროებაზე.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს. ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვთ მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას გულისხმობს. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და შემაჯამებლის ანალიზის ნიმუშები საგნების მიხედვით. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს განმავითარებელი შეფასების დამატებით ფორმებზე. საუბრისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შემუშავებული რუბრიკების გამოყენების მეთოდები და სტრატეგიები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, გრძელვადიან მიზნებთან და მეთოდიკურ ორიენტირებთან.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სწავლის პროცესში მასწავლებლები იყენებენ როგორც გამსაზღვრელ,ასევე განმავითარებელ შეფასებებს. პედაგოგებმა საგნების მიხედვით წარმოადგინეს მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ფარგლებში შუალედური მიზნების შეფასების რუბრიკები,(განმსაღვრელიც და განმავითარებელიც) ასევე სადიაგნოსტიკო ტესტები და შემაჯამებელი წერის ანალიზის ნიმუშები, რომლებიც ეროვნული სასწავლო მიზნის შედეგებზე და სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლის შ ესაძლებლობას გვაძლევს. მოცემული

	რუბრიკები სკოლაში მასწავლებლების მიერაა შედგენილი, რაშიც კიდევ ერთხელ დამარწმუნა გასაუბრების დროს მასწავლებლებთან ჩატარებულმა ინტერვიუმ. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები კონკრეტულია და მოიცავს საგნის ფარგლებში სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **რჩევა:** საგან მოქალაქეობაში შეფასების რუბრიკები შეუსაბამეთ საგნობრივ სამიზნე ცნებებს აღნიშნული ინდიკატორი სამივე საფეხურის ფარგლებში შესაბამისობაშია
უცხოური ენები	კათედრამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკის ნიმუშები რომელიც ეყრდნობა საგნის სტანდარტით გათვალისწინებულ მიღწევის ინდიკატორებს. მასწავლებბლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ, რომ შეფასების რუბრიკები ეფუძნება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. მასწავლებლებს ასევე გააზრებული აქვთ შემუშავებული რუბრიკების გამოყენების მეთოდები და სტრატეგიები . მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ, რომ შეფასების რუბრიკები ეფუძნება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. მასწავლებლებს ასევე გააზრებული აქვთ შემუშავებული რუბრიკების გამოყენების მეთოდები და სტრატეგიები . ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით ასევე შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების სისტემური ხედვა და მზაობა რომ შეფასების კონცეფციის, მეთოდიკური ორიენტირებისა და მიდგომის შემუშავებით შეარჩიონ შეფასების ინსტრუმენტი (მაგ., შეიძლება მასწავლებელმა დაგეგმოს პოტფოლიოების, ჟურნალების, დღიურების გამოყენება, რადგან ეს მიდგომა და დიზაინი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს განახორციელონ რეფლექსია, შეაფასონ საკუთარი ნამუშევარი და მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროგრესს), განსაზღვრონ შეფასების ინსტრუმენტი და შეიმუშაონ შეფასების კრიტერიუმები.
ესთეტიკური აღზრდა	მოსწავლის შეფასების სისტემა განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმაში და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლაში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის აკადემიური მიღწევების განსაზღვრას, მისი განვითარების დინამიკის გამოვლენასა და მხარდაჭერას.

	სკოლას შემუშავებული აქვს დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადი რუბრიკები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან საგანმანათლებლო მიზნებზე. ასევე წარმოდგენილია ზოგადი რუბრიკები სხვადასხვა ტიპის დავალებისთვის (შემოქმედებითი დავალება, ნატურმორტი, ჰოლისტური შეფასება), რაც ქმნის შეფასების ერთიან ჩარჩოს. შეფასების მიდგომები ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესზე და ხელს უწყობს მის აქტიურ ჩართულობასა და რეფლექსიის უნარების განვითარებას. **რჩევა:** მიზანშეწონილია, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში თითოეული თემის ფარგლებში შემუშავდეს სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები, მკაფიოდ და დეტალურად ფორმულირებული კრიტერიუმებით, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის მეტ სიცხადეს, ობიექტურობასა და შედეგებზე ორიენტირებულობას..
სახელმწიფ ო ენა	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლაში წარმოდგენილია შეფასების სქემები, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ორგანიზებასა და შედეგებზე ორიენტირებულობას. შეფასება დაკავშირებულია სასწავლო მიზნებთან და კურიკულუმში განსაზღვრულ შედეგებთან, რაც იძლევა შესაძლებლობას, რომ მოსწავლის მიღწევები შეფასდეს წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. ასევე გამოიყენება სხვადასხვა ფორმის შეფასება (წერითი, ზეპირი, ანალიტიკური დავალებები), რაც ხელს უწყობს მოსწავლის ცოდნისა და უნარების მრავალმხრივ გამოვლენას. ამასთან, შეფასების სისტემა დაკავშირებულია სასწავლო გეგმასთანა და სხვა მხარდამჭერ დოკუმენტებთან, რაც უზრუნველყოფს მისი გამოყენების თანმიმდევრულობას ყველა საფეხურზე. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები **II, VI, VIII** და **X** კლასებისთვის, რაც სამივე საფეხურს მოიცავს. განმავითარებელი რუბრიკები შემუშავებულია **II კლასისთვის** (ნატურალური რიცხვები 100-მდე), **VIII კლასისთვის** (ალგებრული გამოსახულება, ალგებრული წილადი) და **X კლასისთვის** (გეომეტრია და გაზომვები). განმსაზღვრელი რუბრიკები წარმოდგენილია **VI კლასისთვის** (მოქმედებები წილადებზე), **VIII** და **X**

	კლასებისთვის. რუბრიკები სტრუქტურულად ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს-გამოყოფილია სამიზნე ცნებები და შეფასების კრიტერიუმები. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში მითითებულია მაქსიმალური ქულები, რაც შეფასების პროცესს გამჭვირვალეს ხდის. თუმცა, წარმოდგენილი რუბრიკები მოიცავს მხოლოდ გარკვეულ კლასებსა და თემებს, ამასთანავე, დოკუმენტები ზოგადი ხასიათისაა და სკოლის სპეციფიკური კონტექსტი მათში არ იკვეთება. **რჩევა:** სასურველია სკოლამ შეიმუშაოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ყველა კლასისა და ყველა თემისთვის, ასევე, სასურველია, შეფასების კრიტერიუმები ყველა კლასის მოსწავლეს სისტემატურად ეცნობოდეს თემის დაწყებამდე, სასწავლო პროცესის ეფექტიანობის მიზნით.
სპორტი	სკოლას აქვს წარმოდგენილი ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რომლებიც ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმსაზღვრელი შეფასება გაწერილია თემის მიხედვით და მიემართება სამიზნე ცნებებისაკენ. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას. მასწავლებლის მიერ გამოყენებული სიტყვიერი კომენტარი გამომდინარეობს თემის ფარგლებში ტექნიკის შესრულების დროს სწორ და ზუსტ მითითებებში თუ როგორ უნდა შესრულდეს კოკრეტულ მომენტში შეთავაზებული ტექნიკა სწორად, რომელიც მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა მორგებული და ორიენტირებული.
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები , რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე (შეფასების რუბრიკები) გამოიკვეთა, რომ გააზრებული აქვთ განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. შეფასების დიზაინი, რომელსაც იყენებს მასწავლებელი განმავითარებელი შეფასებისას ქმნის მნიშვნელოვან პლატფორმას მოსწავლის მრავალმხრივი გაცნობისა და შესწავლისთვის. განმსაზღვრელი შეფასება კი წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან/კრიტერიუმთან და

	მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით. შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებს, თან ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, წარმოდგენილია თვითშეფასების ფორმებიც. აღნიშნული შეფასებები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს და სრულად ემსახურება მოსწავლეთა განვითარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- კურიკულუმის მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების რუბრიკები
- შემოქმედებითი დავალების ნიმუშევი
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს ნათლად გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი ძირითადად დაგეგმილია და მიმდინარეობს შემუშავებული კურიკულუმის შესაბამისად. ხოლო საგნობრივი კურიკულუმები თანხვედრაშია იმ აქტივობებთან, რასაც ახორციელებენ. გარდა ამისა, მასწავლებლები აკვირდებიან პროცესს და მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე ზოგჯერ ცვლიან სასწავლო პროგრამას. შესაბამისი ცვლილებები შეაქვთ კურიკულუმშიც.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შემავალი ყველა საგნის სწავლება ეფუძვნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებსა და შედეგებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი (საგნობრივი კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები და მოსწავლის ნამუშევარი თავისი შეფასებით) ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის მოთხოვნებს. მასწავლებლეთან ინტერვიუმაც აჩვენა, რომ სწავლა-სწავლების პროცესი დაგეგმილი სასკოლო გეგმის შესაბამისად მიმდინარეობს.

უცხოური ენები	მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ძირითადად დაგეგმილია და მიმდინრეობს შემუშავებული კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებლები აკვირდებიან პროცესს და მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე მოდიფიცირებას უკეთებენ სასწავლო პროგრამას. შესაბამისი ცვლილებები შეაქვთ კურიკულუმშიც.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი სკოლაში დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და განსაზღვრავს სასწავლო მიზნებს, ამოცანებსა და შედეგებს საგნის, კლასისა და საფეხურის მიხედვით. სწავლების პროცესში გამოიყენება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები. წარმოდგენილი შესრულებული დავალებების პროდუქტები, მათ შორის შემოქმედებითი ნამუშევრები, ცხადყოფს, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობები პრაქტიკაში რეალურად ხორციელდება.
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და ასახავს მასში განსაზღვრულ თემატურ ერთეულებს, სასწავლო მიზნებსა და აქტივობებს. კურიკულუმში წარმოდგენილი სტრუქტურა (თემები, ქვეთემები, სამიზნე ცნებები, აქტივობები, შეფასების ფორმები) უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და თანმიმდევრულ დაგეგმვას ყველა საფეხურზე. სასწავლო პროცესის დაგეგმვა დაკავშირებულია სასწავლო გეგმასთან, შეფასების სქემებთან, რუბრიკებთან და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებთან, რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის ერთიან ჩარჩოში მოქცევას. ასევე იკვეთება კურიკულუმში გაწერილი აქტივობების პრაქტიკაში დანერგვა. რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი პროცესის განხორციელებას. საერთო ჯამში, სასწავლო პროცესი კურიკულუმის შესაბამისად არის ორგანიზებული და იძლევა სისტემური დაგეგმვის შესაძლებლობას ყველა საფეხურზე.
მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმები I–XII კლასებისთვის, რომლებიც მოიცავს სამივე საფეხურს- დაწყებითს, საბაზოსა და საშუალოს. კურიკულუმები შედგენილია სასწავლო წლის

	შესაბამისად და მოიცავს თემებს, საკითხებს, კონტექსტ-მაგალითებსა და სასწავლო რესურსებს, რაც მიუთითებს სასწავლო პროცესის წინასწარ დაგეგმვაზე. **რჩევა:** სასურველია სკოლის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს, რომ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები რეალურად გამოიყენებოდეს სასწავლო პროცესის წარმართვისას და არა მხოლოდ დოკუმენტაციის მიზნით. ამისათვის სასურველია ადმინისტრაციამ პერიოდულად გადაამოწმოს, თუ რამდენად ეყრდნობა მასწავლებელი კურიკულუმს პრაქტიკაში.
სპორტი	საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი თეორიული და პრაქტიკული აქტივობები და რესურსი უზრუნველყოფს შემოქმედებითი უნარების განვითარებას. კურიკულუმებში გაწერილი თემები და მასზე დართული ჰიპერლინკები, - რომლებიც ასახავენ სხვადასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს, ზოგადგანმავითარებელ ვარჯიშებს, მოთელვით ვარჯიშებს და ცხოვრების ჯანსაღ წესს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი თეორიული სწავლების დროს მოსწავლეების მიერ შესაქმნელი პროექტები: ჯანსაღი ცხოვრების წესის, მავნე ჩვევების პრევენციის და ლაშქრობის თემატიკიდან გამომდინარე, - ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ, გონებრივ, ფსიქო-ემოციურ განვითარებას და კეთილდღეობას. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს/თემებს, პირობას, პრაქტიკულად ანხორციელებენ შეთავაზებულ კომპლექსურ დავალებებში მოცემულ ტექნიკის შესწავლას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებასა და უკეთ ათვისებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი: შიდა სასკოლო/საკლასო ფესტივალი და შიდა სასკოლო/საკლასო პრეზენტაცია, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით.
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ძირითადად დაგეგმილია და მიმდინრეობს შემუშავებული კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებლები აკვირდებიან პროცესს და მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე მოდიფიცირებას უკეთებენ სასწავლო პროგრამას. შესაბამისი ცვლილებები შეაქვთ კურიკულუმშიც.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე, შეფასებებსა და სხვადასხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკის ნიმუშები დოკუმენტაცია შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმასთან, გრძელვადიან მიზნებთან და მეთოდიკურ ორიენტირებთან. კურიკულუმში გაწერილი მიზნები გამომდინარეობს ესგ-დან. გაწერილი დავალებები შეესაბამება მიზნებს. წარმოდგენილი რუბრიკები კი მოიცავს სწორედ იმ ინდიკატორებს რაზეც დავალება უნდა გავიდეს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ მოსწავლეებმა სინასწარ იციან რუბრიკები და იყენებენ მათ ურთიერთშეფასებისთვის. წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ნათელია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის: ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო , ობიექტური.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულიად პასუხობს ინდიკატორის მოთხოვნებს სასურველია სამივე საფეხურზე: -კურიკულუმში შეფასების კრიტერიუმები მკვეთრად ფოკუსირებული იყოს თემაზე/საკითხზე.

	-სამივე საფეხურზე - თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორების დაზუსტება საკითხთან მიმართებაში. -დაწყებით საფეხურზე, განმავითარებელ რუბრიკებში მოლოდინების ჩამოყალიბების პრაქტიკის გაუმჯობესება. აღნიშნული ინდიკატორი სამივე საფეხუზე შესაბამისობაშია;
უცხოური ენები	კათედრამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკის ნიმუშები რომელიც ეყრდნობა საგნის სტანდარტით გათვალისწინებულ მიღწევის ინდიკატორებს. წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ნათელია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის: ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო , ობიექტური და სამართლიანი. კერძოდ, განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, რომ იცოდნენ თუ როგორ ფასდება მათი ცოდნა და შეფასების სქემა მკაფიო და დახვეწილია . ამას გარდა, მოსწავლეებს შეუძლიათ ჰქონდეთ განცდა, რომ ფასდება მხოლოდ ის, რისი შეფასებაცაა განზრახული და მიზნობრივად ფასდება მოცემული შედეგი. შესაბამისად, წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები იძლევა ობიექტურობის შესაძლებლობას.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა შეესაბამება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კრიტერიუმები და შეფასების დონეები ძირითადად ჩამოყალიბებულია მკაფიო და მოსწავლეებისთვის გასაგები ენით, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროებს დამატებით დაზუსტებას, რათა შეფასების მოთხოვნები უფრო მკაფიო გახდეს მოსწავლეებისთვის. **რჩევა:** სასურველია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში თითოეულ ქულას ახლდეს შესაბამისი აღწერა (რა შემთხვევაში იწერება 1, 2, 3 და ა.შ. ქულა), რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის უფრო მაღალ ობიექტურობას, გამჭვირვალობასა და სიზუსტეს.

სახელმწიფო ენა	სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობისა და ობიექტურობის პრინციპებს, რაც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებს. შეფასება მხოლოდ შედეგის დაფიქსირებას არ გულისხმობს და იგი განიხილება როგორც უწყვეტი, მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული პროცესი. აღსანიშნავია, რომ სკოლაში შემუშავებული შეფასების რუბრიკები პირდაპირ არის დაკავშირებული იმ აქტივობებთან, რომლებიც გამოიყენება სწავლების პროცესში. თითოეული რუბრიკა შეესაბამება კონკრეტული აქტივობის შინაარსსა და მიზანს. მათში გაწერილია შეფასების კრიტერიუმები, რაც მოსწავლეებსა და მშობლებს აძლევს შესაძლებლობას, წინასწარ გაეცნონ შეფასების სტანდარტებს. ამგვარად, შეფასება ეფუძნება განსაზღვრულ მოლოდინებს და ნაკლებად არის დამოკიდებული სუბიექტურ მიდგომებზე. ვერიფიკაციის დოკუმენტების მიხედვით, მასწავლებლები პერიოდულად აანალიზებენ შეფასების პრაქტიკას, რაც კიდევ უფრო ამყარებს შეფასების სისტემის ობიექტურობასა და სანდოობას. **რჩევა:** სასურველია უფრო აქტიურად გამოიყენოს სკოლამ შეფასების სხვა ფორმები, როგორებიცაა თვითშეფასება, მოსწავლეთა შეფასება და სხვა... **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები მათემატიკაში სტრუქტურულად პასუხობს შეფასების ძირითად პრინციპებს - განსაზღვრულია შეფასების კრიტერიუმები და ქულები, რაც შეფასებას გამჭვირვალეს და მოსწავლისთვის გასაგებს ხდის. განმსაზღვრელ რუბრიკაში მითითებულია კონკრეტული შეფასების კრიტერიუმები სამიზნე ცნებების მიხედვით, რაც ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპს ემსახურება. თუმცა წარმოდგენილია მცირე რაოდენობით, რაც არ იძლევა იმის შეფასების საშუალებას, თუ რამდენად სისტემური და თანმიმდევრულია შეფასება სხვა კლასებსა და საფეხურებზე. ამასთანავე, ნაწილობრივ ჩანს მოსწავლეებისთვის შეფასების კრიტერიუმების წინასწარ გაცნობის პრაქტიკა.

	რჩევა: სასურველია შეფასების რუბრიკები შემუშავდეს სხვა კლასებისა და თემებისთვისაც, რათა შეფასების სისტემა სკოლაში თანმიმდევრული და სისტემური იყოს. ასევე სასურველია შეფასების კრიტერიუმები ყველა კლასის, ყველა მოსწავლეს თემის დაწყებამდე გაეცნოთ - ეს პრაქტიკა შეფასებას უფრო გამჭვირვალეს და სამართლიანს გახდის.
სპორტი	მასწავლებლები გაკვეთილის წარმართვის დროს აქტიურად იყენებენ განმავითარებელი შეფასებას- სიტყვიერ კომენტარს, კომპლექსური დავალების შეჯამების დროს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ფიზიკური აღზრდასა და სპორტში მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ შეფასების რუბრიკას, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწიებულ საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, რომელისვც არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.
ტექნოლოგიები	სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები რომელიც ეყრდნობა საგნის სტანდარტით გათვალისწინებულ მიღწევის ინდიკატორებს. სადაც აქცენტი კეთდება გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებებზე. .მოსწავლეებისთვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების რუბრიკები, იციან რაში შეფასდებიან. წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ნათელია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის: ვალიდური, სანდო , ობიექტური და გამჭირვალე.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას შემუშავებული და განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს. წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება არის სანდო, ვალიდური, ობიექტური და სამართლიანი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ კათედრები სამუშაო შეხვედრებზე განიხილავენ შეფასების მოქმედ რუბრიკებს, დავალებების განხორციელების შემდეგ აანალიზებენ სასწავლო პროცესს, გამოყენებულ შეფასების სქემებს და მუდმივად ცვლიან და ნერგავენ ახალ ინსტრუმენტებს. წარმოდგენილია შესაბამისი რუბრიკები. სკოლას აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი, რითაც ადასტურებენ მზაობას, დანერგონ აღნიშნული მექანიზმი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებს 3 წლის ვადით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ საგნობირვი კურიკულუმები
- ✓ შეფასების რუბრიკები
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა
- ✓ ვერიფიკაციის წესი
- ✓ საგნობრივი კურიკულუმები

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმებიდან დგინდება, რომ ძირითად რესურსად კათედრა იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოს და მრავალფეროვან ონლაინ რესურსებს, რომლებიც ჰიპერბმულებით არის წარმოდგენილი. მოსწავლეები თავადაც ქმნიან მარტივ რესურსებს საყოფაცხოვრებო საგნების გამოყენებით. მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე გასაგები ხდება, რომ ატარებენ კვლევითი ტიპის დავალებებს, მხოლოდ საშინაო ექსპერიმენტის სახით ან თეორიული კვლევის სახით.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებიდან და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად შევიტყვე, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, ასევე მრავალფეროვან საგანმანათლებლო დამატებით სახელმძღვანელოებს, რუკებს და ინტერნეტ რესურსებს. აღნიშნული ინდიკატორი სამივე საფეხუზე შესაბამისობაშია;
უცხოური ენები	წარმოდგენილი კურიკულუმებიდან დგინდება, რომ ძირითად რესურსად კათედრა იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოს რომელსაც აქვს სამუშაო რვეული, აუდიო ჩანაწერები, პოსტერები, ქარდები, რაც იძლევა საგნის სტანდარტით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის შესაძლებლობას. გარდა ძირითადი რესურებისა, კურიკულუმებში მოცემულია დამხმარე ელექტრონული რესურსები, რაც შერჩეულია ეფექტურად და დანამდვილებით დაეხმარება მოსწავლეებს განსაზღვრული შედეგების მიღწევაში.
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმებში განსაზღვრულია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები. მათი შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი და საგნობრივი თავისებურებები, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან წარმართვას. სკოლის დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუების ანალიზი ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები.

	გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე მრავალფეროვანი დამატებითი მასალები - თვალსაჩინოებები, ინტერნეტრესურსები და სხვა დამხმარე რესურსები, რაც ზრდის სასწავლო პროცესის დინამიკურობასა და მოსწავლეთა ჩართულობას.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები გამოიყენება სასწავლო პროცესში და დაკავშირებულია თემატურ ერთეულებსა და დაგეგმილ აქტივობებთან. კურიკულუმში წარმოდგენილია როგორც სახელმძღვანელოები, ისე დამატებითი რესურსები (ელექტრონული მასალა, ვიდეოები და სხვა), რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულობასა და მრავალფეროვნებას. რესურსების გამოყენება შესაბამისობაშია სასწავლო გეგმასთან, შეფასების სქემებთან და სხვა მხარდამჭერ დოკუმენტებთან, მათ შორის ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისა და მატერიალური რესურსების გამოყენების მარეგულირებელ დებულებებთან. ეს ქმნის პირობებს, რომ რესურსები გამოყენებული და დაგეგმილი იყოს სასწავლო მიზნების მიღწევისათვის. საერთო ჯამში, კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის მხარდაჭერას ყველა საფეხურზე.
მათემატიკა	კურიკულუმებში მითითებულია ძირითადი და დამხმარე რესურსები სტანდარტულად - სახელმძღვანელოები, GeoGebra, Khan Academy და ა.შ. ზოგიერთგან რესურსების ჩამონათვალი ზოგადია (როგორც ზემოთ აღნიშნა ექსპერტმა), თუმცა გასაუბრებისას პედაგოგებმა მოიყვანეს რამდენიმე მაგალითი, თუ როგორ იყენებენ კონკრეტულ რესურსს კონკრეტული აქტივობის განხორციელებისას (მაგ.GeoGebra-ს და Desmos-ს გრაფიკების ასაგებად და ა.შ.)
სპორტი	ვინაიდან სკოლას აქვს კომპლექსური დავალებებით მუშაობის გამოცდილება რასაც ადასტურებენ სკოლის მასწავლებლები ინტერვიუს მსვლელობის დროს, სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია კურიკულუმში თანდართული ჰიპერლინკებისა და გრიფირებული სახელმძღვანელოს გამოყენება. მასწავლებლები ქმნიან ერთგვარ ბაკს და უზიარებენ ერთმანეთს ციფრულ რესურსებს, წინა სასწავლო წლის გამოცდილების საფუძველზე შეიმუშავეს კურიკულუმები და

	ნერგავენ კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც მორგებულია სკოლის მატერიალურ ბაზაზე და ინვენტარზე.
ტექნოლოგიები	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში. სკოლაში არის საკმარისი მატერიალური რესურსი კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც მოწყობილი ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტ ქსელში, რაც იძლევა კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების განხორციელების საშუალებას .
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია, თუ რომელ ძირითად სახელმძღვანელოებს იყენებს სკოლა და რომელი დამატებითი რესურსები აქვთ შერჩეული სწავლებისას, კურიკულუმებში ჩაშენებულია ელექტრონული რესურსებიც. წარმოდგენილია რამდენიმე გაკვეთილის გეგმა, რომლებშიც ჩანს დასახელებული რესურსების ეფექტური გამოყენება. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნების მეტყველო მეცნიერებები	კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ჩანს, რომ რესურსები განხილულია კათედრაზე, წარმოდგენილი რესურსები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის ინდიკატორებს და ერგება შეფასების სისტემას. თუმცა ლაბორატორიის არარსებობის გამო ეს რესურსები მწირია და ვერ უზრუნველყოფს კვლევითი უნარების სრულყოფილ განვითარებას.
საზოგადოებრივი	მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ და კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დავასკვნი, რომ რესურსები განხილულია და შექმნილია კათედრაზე. რადგან იკვეთება საგნობრივი კავშირები. სასწავლო რესურების ვალიდაციის უზრუნველყოფა ნათლად ჩანს მხოლოდ წარმოდგენილ დოკუმტებშიც.

მეცნიერებები	
უცხოური ენები	კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდანა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ერთობლივად შეთანხმდნენ ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსებზე, რომლებიც შერჩეულია სასწავლო პროგრამის მიზნობრიობიდან გამომდინარე. აღნიშნული რესურსები მრავალფეროვანია, ვალიდურია და ემსახურება სწავლა- სწავლების პროცესის ეფექტურ ხელშეწყობას.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში გამოიყენება სხვადასხვა დამხმარე სასწავლო რესურსი, რომლებიც შერჩეულია სასწავლო პროცესის საჭიროებების, მოსწავლეთა ასაკის და თემის გათვალისწინებით. კათედრის წევრები განიხილავენ წარმოდგენილ რესურსებს და იღებენ გადაწყვეტილებას მათი გამოყენების შესახებ, რაც გარკვეულწილად უზრუნველყოფს რესურსების მიზნობრივ შერჩევას.
სახელმწიფო ენა	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც ასახულია შესაბამის დოკუმენტაციასა და პრაქტიკაში. ირკვევა, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებამდე რესურსები წინასწარ განიხილება და მტკიცდება, რაც უზრუნველყოფს მათი შესაბამისობის შეფასებას როგორც სასწავლო მიზნებთან, ისე კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგებთან. ვალიდაციის პროცესში ყურადღება ექცევა რესურსის შინაარსს, მის შესაბამისობას თემატურ ერთეულებთან, აქტივობებთან და გამოყენების მიზანთან. აღნიშნული მიდგომა დაკავშირებულია ვერიფიკაციის დებულებასთან, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკასთან და ხარისხის განვითარების ჯგუფის საქმიანობასთან, რაც ქმნის რესურსების შერჩევისა და გამოყენების უფრო ორგანიზებულ ჩარჩოს. ამგვარად, დამხმარე რესურსების შერჩევა და გამოყენება ხორციელდება წინასწარი განხილვისა და შეთანხმების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მათ მიზნობრივად და სასწავლო პროცესთან შესაბამისობაში გამოყენებას.
მათემატიკა	არც ერთ დოკუმენტში არ ჩანს, როგორ შეირჩა დამხმარე რესურსები, თუმცა ისინი რაც პედაგოგებმა შეარჩიეს და კურიკულუმებში შეიტანეს, გადამოწმებულია საგნობრივი ექსპერტის მიერ და მათი ვალიდურობა დასტურდება.

	რჩევა: სკოლის სასწავლო გეგმაში მიეთითოს ან ცალკე დოკუმენტში აღიწეროს, რომ რესურსების შერჩევა ხდება გუნდურად ან პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის გზით.
სპორტი	სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემო, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ კურიკულუმებში ჩაშენებული ჰიპერლინკები რომელშიც მოცემულია, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელო ასევე კურიკულუმში გაწერილი სასწავლო თემების შესაბამისი პროექტები არის შესაბამისი და ვალიდური.
ტექნოლოგიები	დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს. კათედრაზე მასწავლებლები ერთობლივად თანხმდებიან , რომელ რესურს გამოიყენებენ. შერჩეული რესურსები არის სასწავლო პროგრამის მიზნობრიობიდან გამომდინარე. არის მრავალფეროვანი და ხელს უწყობს სწავლა- სწავლების პროცესის ეფექტურად წარმართვას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება დაწყებითი კათედრის შეხვედრის ფარგლებში. სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევს, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ მოწოდებულ რესურსებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში არ არის გამართული ლაბორატორიები ქიმიისა, ფიზიკის და ბიოლოგიის მიმართულებით, სადაც შესაძლებელი იქნება თუნდაც უმარტივესი ექსპერიმენტალური, კვლევითი ტიპის დავალების უსაფრთხოდ შესრულება. არ არსებობს რეაქტივების შესანახი სივრცე, ონკანი და ნიჟარა ჭურჭელის გასარეცხად. საბაზო და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების სტანდარტის მიხედვით, კეთებით სწავლება გულისხმობს რეალურ ლაბორატორიულ სამუშაოებს. საბაზო და საშუალო საფეხურების სტანდარტის შედეგების მისაღწევად საკმარისი არ არის მხოლოდ ონლაინ რესურსები და მანიპულატივები. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც აღნიშნული პრობლემის მოგვარება დაგეგმილი აქვს ერთი წლის ვადაში (15.10.2026). ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას და გასცემს რეკომენდაციას, სკოლამ მის მიერვე განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობა.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. მოსწავლეთა ნამუშევრებზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დავასკვენი, რ ომ კათედრას აქვს კურიკულუმით გათვალისწინებული მატერიალური რესურსები ,რომლებიც ზედმიწევნით პასუხობს სწავლის შედეგების უზრუნველყოფას მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. აღნიშნული ინდიკატორი სამივე საფეხურის ფარგლებში შესაბამისობაშია.

უცხოური ენები	უცხო ენების სწავლების პროცესში მოსწავლეები უზრუნველყონფილი არიან მატერიალური რესურსით. მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა გათვალისწინებულია, რაც შესაძლებელს ხდის სასწავლო პროცესი კურიკულუმისა და შესაბამისად, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გამნხორციელდეს
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. ხელოვნებისა და მუსიკის მასწავლებლებს ხელმისაწვდომობა აქვთ შესაბამისი ტექნიკურ საშუალებებზე (კომპიუტერი, აუდიოტექნიკა, პროექტორი და სხვა დამხმარე რესურსი), რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხიანად და ეფექტიანად განხორციელებას. სკოლაში არსებული სივრცითი და მატერიალური რესურსები ქმნის სათანადო გარემოს სასწავლო პროცესის ორგანიზებისთვის და უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით და ორგანიზებულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლაში წარმოდგენილია მატერიალური რესურსების გამოყენების მარეგულირებელი დოკუმენტები (მატერიალური რესურსის სარგებლობის წესები), რაც განსაზღვრავს რესურსების ხელმისაწვდომობისა და გამოყენების წესს. არსებული რესურსები დაკავშირებულია კურიკულუმით განსაზღვრულ თემებთან, აქტივობებთან და სასწავლო მიზნებთან, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის პრაქტიკულად განხორციელებას. ბიბლიოთეკა, სასწავლო მასალები და სხვა ინფრასტრუქტურული შესაძლებლობები უზრუნველყოფს როგორც ძირითადი, ისე დამხმარე რესურსების გამოყენებას სასწავლო პროცესში. საერთო ჯამში, მატერიალური რესურსები და მათი მართვის არსებული პრაქტიკა ქმნის პირობებს, რომ კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა იყოს შესაძლებელი ყველა საფეხურზე. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა	ზოგიერთ კურიკულუმში და კომპლექსური დავალების ბარათებში ჩანს, რომ ზოგი აქტივობა ითხოვს გარკვეული მასალების ან ტექნიკის გამოყენებას (მაგალითად, საზომი სახაზავი, დაფა, კომპიუტერი). პედაგოგების თქმით, სკოლის მხრიდან ამ ნივთების მიწოდება უზრუნველყოფლია და იყენებენ კიდეც.
სპორტი	სკოლის მატერიალური ბაზა, ინვენტარი და დამხმარე მასალები უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შესასწავლი თემების სრულ განხორციელებას, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს სწავლის შედეგის მიღწევას. სკოლას გააჩნია დახურული დარბაზი და კურიკულუმში გაწერილი თემების შესაბამისი მატერიალური რესურსი, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება სასწავლო გეგმით განსაზღვრული თემების შესწავლა.
ტექნოლოგიები	სკოლაში არის მატერიალური რესურსი - კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აკმაყოფილებს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით კომპიუტერი, პროექტორი და სხვა., რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლის შედეგების მისაღწევად სკოლა უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი მატერიალური რესურსით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ინდიკატორი მეტწილად შესაბამისია.

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. სკოლაში დასაქმებულია სულ 91 მასწავლებელი, მათ შორის 18 წამყვანის სტატუსით. ყველას აქვს სათანადო კვალიფიკაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *2025-2026წლის საგნობრივი კურიკულუმები*
2. *2025 - 2026 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმა*
3. *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია*
5. *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები*
6. *2025-2026 წლის შინაგანაწესი*
7. *კათედრის დებულება*
9. *ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა 2025-2026*
10. *ინკლუზიური განათლების- შიდა მონიტორინგის ანგარიში*
11. *დიფერენცირებული აქტივობების ნიმუშები*
12. *ინტერვენციის გეგმა*
13. *შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ამსახველი ცხრილი*
14. *კათედრის-ოქმი-N1*
15. *კათედრის-ოქმი-N2*
16. *კათედრის-ოქმი-N3*
17. *ისგ-ქართული*
18. *მოსწავლის ისგ შეფასება - აკადემიური, კოგნიტური*
19. *ოქმი N1 - ისგ შეხვედრის ოქმი*
20. *ოქმი N2 -ისგ შეხვედრის ოქმი*
21. *ქცევის მართვის გეგმა*
22. *ისგ რესურსები და მასალები*
23. *ინკლუზიური განათლების მასალები*
24. *ქცევის მართვის გეგმა*
25. *ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების -დასკვნა*
26. *შემაჯამებლების მიზანი და შეფასების რუბრიკები*

27. შეფასებების რუბრიკები

28. სსსმ მოსწ. დავალების ნიმუში. ადაპტირებული ტექსტი

29. შემოქმედებითი და კომპლექსური დავალებები:

საბაზო

- *,,ილია ჭავჭავაძის„რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“პუბლიცისტური ჟანრის ტექსტის დადასაბუთება პრეზენტაციის სახით.*
- *როგორ შეიცვლებოდა ნაწარმოების (შოთა რუსთაველის ,, ვეფხისტყაოსანი,,) სიუჟეტი, თუკი ერთ-ერთი პერსონაჟი (მაგ. ფრიდონი) სხვაგვარად მოიქცეოდა*
- *ხელოვნებისა და ხელოვანის დანიშნულება „აბოს წამების“ მიხედვით*
- *შედარება მიხეილ ჯავახიშვილის ტექსტის გუგული მგელაძის მხატვრულ ფილმთან:„ფესვები“.*
- *ინტერპრეტაცია ვაჟა ფშაველას ნაწარმოების ,,ხმელი წიფლის მიხედვთ“*
- *არგუმენტირებული ესე „უბრალო სისხლი“ თუ „მართალი სამართალი“*
- *‘შექმენი შენი ხელნაწერი ოთხთავი“*
- *ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსზე „ფიქრნი მტკვრის პირას“ დაყრდნობით თხზულების შექმნა*

საშუალო

- *სტატია ლიტერატურული გაზეთისთვის*
- *ანალიტიკური ესე: „ პლატონ სამანიშვილი- გაძაღლებული კაცი“.*
- *ფინალური ნაწილის მმნიშნელობა ნაწარმოების დაწერისთვის*
- *გამოხმაურება პოლიკარპე კაკაბაძის პიესაზე „ ყვარყვარე თუთაბერი“.*

დაწყებითი

- *ი. გოგებაშვილის ,,ჭკვიანი ძაღლების“ პერსონაჟისთვის წერილი*
- *დაწერეთ ეპიზოდი –მირანდუხტის სტუმრობა გერონტის ოჯახში, ანუ გააგრძელეთ მოთხრობა*
- *თხრობა მთხრობლის შეცვლით წარმოიდგინე,როგორ მოყვებოდა მოთხრობილ*
- *ამბავს სხვა პერსონაჟი რევაზ ინანიშვილის „ბიჭი და ძაღლში“*
- *წერილის მიწერა პერსონაჟ თომას, ასახული პრობლემის წარმოსაჩენად.*
- *თოჯინების თეატრი თოჯინების გამოყენებით*
- *წარმოდგენა იგავ „ჭრიჭინა და ჭიანჭველაზე“ დაყრდნობით.*
- *პოსტერის შექმნა ,,აქლემისა და ვირის” დედააზრის შესახებ*
- *წერილის მიწერა პერსონაჟებისთვის, უღუსა და თეთისთვის, ასახული პრობლემის წარმოსაჩენად.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
■ შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად ტარდება კურიკულუმების მონიტორინგი. ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, ასევე ესწრებათ ადმინისტრაცია, წერენ თვითშეფასებებს, კათედრებზე მსჯელობენ ჩატარებულ გაკვეთილებსა და წლის განმავლობაში მიღებულ გამოცდილებაზე, ინიშნავენ რეკომენდაციებს და ითვალისწინებენ შემდეგი წლის კურიკულუმის შექმნისას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

გაკვეთილზე დასწრების უკუკავშირების და თვითრეფლექსიის შედეგად ხვეწენ შემდეგი წლის კურიკულუმებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

მიღებული უკუკავშირის მიხედვით, ითვალისწინებენ მოსწავლეთა და კლასების ინდივიდუალურ საჭიროებებს და უკეთ არგებენ კურიკულუმებს მოსწავლეთა საჭიროებებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.
- ✓ ურთიერთდასწრების ჩანაწერები.
- ✓ გადამუშავებული კურიკულუმები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ შეფასებისას იყენებენ მრავალფეროვან წყაროებს. აქვთ ასეთი პრაქტიკა (მაგ: კათედრის შეხვედრის ოქმი, ურთიერთდასწრების ფორმები, თვითრეფლექსია), რომლების საფუძველზეც სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი მიმდინარეობს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

ინტერვიუებიდან და წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ სკოლაში შეფასება ხდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინდივიდუალურ თავისებურებებს. დავალებების შესრულების პროცესში მოსწავლე ფასდება ინფორმაციის მოძიება-ორგანიზებით, პრობლემის გამოკვეთისა და გადაჭრის გზების ძიებით, პრეზენტაციის, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების უნარით, ასევე, სოციალური უნარებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სკოლის წარმომადგენლები შეფასებისას იყენებენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, მათ შროისაა კრიტიკული მეგობრის,მოსწავლის, პედაგოგის, დამსწრის რეფლექსიები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სკოლის წარმომადგენლებს გააზრებული აქვთ, რომ მოსწავლის სწავლის ხარისხზე მრავალი გარე ფაქტორი ახდენს გავლენას. მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ მშობლებთან და ითვალისწინებენ ყველა გარემო ფაქტორს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ ურთიერთდასწრების რეფლექსია.
- ✓ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა
- ✓ განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში განხილულია, რომ ყოველი წლის ბოლოს შეფასდება მუშაობა და სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით მოხდება კურიკულუმის ცვლილება და უკეთ მორგება სკოლისა და მოსწავლეების საჭიროებებზე.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლა წლის ბოლოს აკეთებს კურიკულუმის ანალიზს კათედრაზე და ითვალისწინებს შედეგებსა და მიღებულ გამოცდილებას შემდეგი წლის კურიკულუმის შედგენისას. წარმოდგენილია გადამუშავებული კურიკულუმები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
საგნობრივი კურიკულუმები
გადამუშავებული კურიკულუმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

■ შეესაბამება	■ შეესაბამება	■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება	☐ მეტწილად შეესაბამება	☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

საგნობროვი კურიკულუმების ჩარჩოები;
განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები;
შემაჯამებლის ანალიზები;
კომპლექსური დავალებები;
საკლასო/სასკოლო პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია;
კათედრის ოქმები;
შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი;
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.

თარიღი: 25.05.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კობა დეკანაძე /

ნანა ნიკოლაშვილი /

ლედი კუთხაშვილი /

ნინო ჭანტურიძე:

ინგა გელაშვილი / /

მარინე ჩახვაშვილი / /

მარინე კუჭუხიძე /

სოფიო ჯგერენაია /

თამარ საჩანელი /

ჯულიეტა ტაბეშაძე: